პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

20 ივლისი, 1939 წ.
საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო
№ 21 (108) ფასი 80 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღე

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს გადაწყვეტილებით დაწესებული სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღე, რომელიც ყოველწლიურად 24 ივლისს ჩატარდება, არის მთელი საბჭოთა ხალხის დღესასწაული.

ეს ისტორიული გადაწყვეტილება მაჩვენებელია იმისა, რომ საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ფლოტის გაძლიერებაზე, ზრდაზე, წინსვლაზე დაუღალავად ზრუნავენ საბჭოთა მთავრობა, **ლენინ-სტალინის** პარტია და პირადად დიდი **სტალინი.**

საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ფლოტი გარემოსილია მთელი საბჭოთა ხალხის უღრმესი სიყვარულით. სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს სესიაზე ხალხის წარმომადგენლებმა ერთხმად მოითხოვეს საზღვაო და საოკეანო ფლოტის გაძლიერება. საბჭოთა ხალხი ერთსულოვანი აღფრთოვანებით შეხვდა სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარიატის ჩამოყალიბებას და სამხედრო-საზღვაო ფლოტში ნამდვილი სამსახურის ახალი ვადების დაწესებას. ეს იმიტომ, რომ საბჭოთა ხალხი, საბჭოთა ქვეყანა უაღრესად არის დაინტერესებული და მოწადინებული—აამაღლოს ფლოტის საბრძოლო მზადყოფნა, რომ საბჭოთა კავშირი უძლავრეს საზღვაო სახელმწიფოდ გადაიქცეს.

ცხადია, ფლოტის დღის დაწესება უფრო მეტად განამტკიცებს და გააფართოებს საბჭოთა ხალხის სიყვარულს და მზრუნველობას მუშურ-გლეხური საზღვაო ფლოტისადმი.

საბჭოთა ქვეყანას ირგვლივ აკრავს ორი ოკეანე და მრავალი ზღვა. ჩვენი ფლოტი ფხიზლად სდარაჯობს ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანობას საბჭოთა კავშირის საზღვაო საზღვარზე, რომელიც ორმოცდარვაათას კილომეტრზეა გადაჭიმული. პარტიისა და მთავრობის დაუღალავი მზრუნველობის მეოხებით ჩვენი ფლოტი შეიარაღებულია თანამედროვე მოწინავე ტექნიკით. ჩვენს ფლოტს უკვე აქვს ყველა კლასის გემები, დაწყებული პატარა გემებით და გათავებული დიდი დრედნოუტებით. მის შემადგენლობაში შედის ძლიერი [illegible]

მათი ბრძოლისა და თავგანწირვის დიადი ტრადიცია შეინარჩუნეს წითელმა მეზღვაურებმა, რომელნიც 1917 წელს სათავეში ჩაუდგნენ გემებს, განდევნეს მესაბოტაჟე კონტრრევოლუციური ადმირალები და მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად მოწინავე პოზიციებზე იბრძოდნენ სამშობლოს დასაცავად, ინტერვენციის წინააღმდეგ. სამოქალაქო ომში დნეპრისა და ვოლგის ფლოტილიების სახელოვანმა წითელფლოტელებმა, შავი ზღვის მეზღვაურებმა, ბალტიელებმა აღმაფრენი დიდების შარავანდედით შემოსილი ფურცლები ჩასწერეს სამხედრო-საზღვაო ფლოტის ისტორიაში.

საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ფლოტი ისევე, როგორც მუშურ-გლეხური წითელი არმია, დღეს მტკიცე, უძლეველ და მონოლიტურ ძალას წარმოადგენს. მისი ზრდისა და სიძლიერის ურყევი ბაზისია ჩვენი სამშობლოს ეკონომიური და პოლიტიკური აყვავება, ჩვენი მრეწველობის არაჩვეულებრივი ზრდა, საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა. ხალხი თავის სახელოვან შვილებს, ახალგაზრდა საბჭოთა პატრიოტებს, სიხარულით ჰგზავნის არმიასა და ფლოტში. წითელფლოტელის სახელწოდება საპატიო და საამაყო სახელწოდებაა ჩვენს ქვეყანაში. მუშურ-გლეხური სამხედრო-საზღვაო ფლოტის პირად შემადგენლობას ბადალი არა ჰყავს მთელს მსოფლიოში. წითელ ფლოტელები არიან მგზნებარე საბჭოთა პატრიოტები, აღზრდილნი და გამოწრთობილნი **ლენინ-სტალინის** დიადი პარტიის მიერ, კომუნიზმის საქმის ბოლომდე ერთგული ადამიანები.

24 ივლისს ჩვენი სამხედრო-საზღვაო ფლოტი მოახდენს თავის მიღწევების დემონსტრაციას — დაანახვებს ჩვენს ქვეყანას თავის ძლევამოსილებას და საბრძოლო მზადყოფნას.

დიდი საზღვაო და საოკეანო ფლოტის მშენებლობა მთელი საბჭოთა ხალხის მშობლიური საქმეა. საბჭოთა მწერლობა, რომელიც ჩვენი ინტელიგენციის ერთ-ერთ მოწინავე რაზმს წარმოადგენს და რომელიც გამსჭვალულია საბჭოთა პა- [illegible]



საბჭოთა კრეისერი

მწერლები—მებრძოლები

ამერიკელ მწერალთა ახლახან დასრულებულ მესამე კონგრესზე ერთ-ერთ მეტად ამაღელვებელ მომენტს წარმოადგენდა ორმოცდაორი მწერლის სიის გამოქვეყნება. ეს ის მწერლები არიან, რომელნიც ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში დაიღუპნენ. ღრმა მდუმარებით გამსჭვალული და თავდახრილი ისმენდა აუდიტორია ამ სამგლოვიარო სიას. აქვე ვაქვეყნებთ ლენგსტონ ჰიუზის მიერ წაკითხულ მიმართვის ტექსტს და დაღუპულ მწერალთა სიას:

„მრავალმა ათასმა ადამიანმა გასწირა თავისი სიცოცხლე ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. იმათ შორის, ვინც დაიღუპა საკონცენტრაციო ბანაკებში, ვინც დაეცა ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, იყო მრავალი მწერალი. ზოგი მათგანი არ იღებდა უშუალო მონაწილეობას პოლიტიკაში, მაგრამ ისინი მაინც დახოცეს მხოლოდ იმისათვის, რომ ჩაგრული ხალხის ტანჯვასა და უბედურებას გამოხატავდნენ. სხვები — პოლიტიკურად უფრო აქტიურები, აშკარად გამოდიოდნენ ფაშიზმის წინააღმდეგ. ისინი მწერლის მაღალ მოწოდების ერთგულნი დარჩნენ, ამიტომ, ბრძოლაში დაღუპვა ამჯობინეს რეაქციასთან სამსახურში წასვლას. მათ შორის იყვნენ ინტერნაციონალური ბრიგადების მოხალისენი, რომელთაც გვერდზე გადასდეს თავიანთი კალამი და აიღეს იარაღი ესპანეთის რესპუბლიკის დასაცავად. ისინი შეუდგნენ სახიფათო მოგზაურობას, გადალახეს თავიანთ მთავრობათა ყველა წინააღმდეგობა, არ შეუშინდნენ გაჭირვებასა და სიძნელეს. მათ მხარს უჭერდა მხოლოდ ხალხი, მხარს უჭერდნენ ესპანელი ამხანაგები, რომელთაც იარაღი ეჭირათ ხელში. მათ ამხნევებდა რწმენა დემოკრატიისადმი.

დაღუპული მწერლები ემსახურებოდნენ დემოკრატიის საქმეს, იმავე დროს ეს გმირი ხალხი ემსახურებოდა ლიტერატურასაც.

ესპანეთის მინდვრებზე, სადაც დაიღუპნენ მწერლები, ინტერნაციონალური ბრიგადების ეს მებრძოლნი, არ არის არავითარი ნიშანი მათ საფლავებზე, არ არის ცნობილი, სად არის ბევრი მათგანი დასაფლავებული. მიუხედავად ამისა, მათი ხსოვნა ცოცხლობს მთელი მსოფლიოს თავისუფალ ადამიანთა გულში. მათი სახელი არ არის აღბეჭდილი მშობლიური ქვეყნის საფლავის ქვებზე, მაგრამ მათი ხსოვნით გაჟღენთილია ჰაერი, რომლითაც ჩვენ ვსუნთქავთ. მათი სახელი, მათი ხსოვნა მარტო მათ წიგნებში როდი ცოცხლობს, — მათი ცხოვრება მეორდება სხვა ადამიანების ცხოვრებაში.

იმ პოეტებს, რომანისტებს, დრამატურგებს, კრიტიკოსებს, ესეისტებს შორის, რომლებიც ფაშისტებმა დახოცეს, მრავალი ქვეყნის და ეროვნების წარმომადგენლები იყვნენ. ისინი არა ჰგავდნენ ერთმანეთს, მაგრამ ყველანი ერთი კაცივით იბრძოდნენ თავისუფლებისა და სინათლისათვის, წინააღმდეგ ტირანიისა და სიბნელისა.

აი ამ მწერლების სახელები:
ლეოპოლ ალასი — ესპანეთი,
ერიჰ ბარონ — გერმანია,
ს. ბარალი — ესპანეთი,
პაბლო დე ლა ტორიენტე ბრაუ— კუბა,
ფრანც ბრაუნ — გერმანია,
ლუის კლაივი — ინგლისი,
ჯონ კორნფორდი — ინგლისი,
ფელიქს ფეხენბახ — გერმანია,
კარასკო ფორმიგერა—ესპანეთი,
რალფ ფოქსი — ინგლისი,
ეგონ ფრიდელი — ავსტრია,
დევიდ გესტი — ინგლისი,
ედელ ფონ ხორვარტი—უნგრეთი,
ჰარი ჰაინცი — ამერიკის შეერთ. შტატები,
გრეგორ იარხო — გერმანია,
ლეო კრელლი — გერმანია,
ჯეიმს ლარდნერი — ამერიკის შ. შტატები,
ბენ ლაიდერი — ამერიკის შ. შტატები,
თეოდორ ლესინგი — გერმანია,
ჰანს ლიტენი — გერმანია,
ფედერიკო გარსია ლორკა — ესპანეთი,
ჰანს ბაიმლერი — გერმანია,
გეორგ ლუკაჩი (მათე ზალკა) — უნგრეთი,
ანტონიო მაჩადო — ესპანეთი,
ლუის მოგენი — ინგლისი,
პაულ მორგანი — გერმანია,
ერიხ მიუზამი — გერმანია,
კარლ ოსეცკი — გერმანია,
არონ ლოპოფ — ამერიკ. შ. შტატები,
არნოლდ რეიდი — ამერ. შ. შტატები,
ფრენკ რიანი — ირლანდია,
არტურ რუნდტი — გერმანია,
გ. ჯ. სკოტი — ინგლისი,
ჯონ სკოტი — ინგლისი,
ფრიც სოლმიცი — გერმანია,
კრის სპრიგი — ინგლისი,
რუდოლფ ტომასი — ჩეხოსლოვაკია,
უილიამ ტიტუსი — ამერიკის შ. შტატები,
ერნესტ ტოლერი — გერმანია,
კარლოს დე ლა ტორინტე — ესპანეთი,
კურტ ტუხოლსკი — გერმანია,
პალასიო ვალდესი — ესპანეთი.

თეატრალური კრიტიკის საკითხები

თეატრალური კრიტიკა უაღრესად მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო საქმეა. ეს გასაგებიცაა. ყოველი რეცენზია თეატრის მთელი კოლექტივის (ხშირად 100-200 მუშაკის) მუშაობის საზოგადოებრივი შეფასებაა და როცა იგი არასამართლიანია, ან არა საკმაო, ეს სრულიად მართებულ გულწყრომას იწვევს.

თეატრალური კრიტიკოსი პიესასთან ერთად უმთავრესად მსახიობის შემოქმედებას უნდა არკვევდეს და აფასებდეს. კრიტიკის ობიექტი ამ შემთხვევაში მეტად სათუთი და მგრძნობიარეა. მსახიობის ამ თვისებას კი არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს, რადგან ის ყოველ დღე სცენაზეა, მუდამ მღელვარე, ქმედით განწყობილებაში მყოფი. შემოქმედისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ არის მომართული მისი ფსიქიკა. კრიტიკული განხილვა, ან რეცენზია დიდ გავლენას ახდენს მსახიობზე. მის მიერ შექმნილი სცენიური სახის სახალხოდ შეფასება იწვევს აქტიორში მძლავრ შემოქმედებითს აღტყინებას ან და პირიქით.

მიუხედავად ყოველივე ამისა, კრიტიკას მაინც პირდაპირობა და სიმართლე მოეთხოვება, და თუ სიმართლე მსახიობისადმი სიყვარულით იქნება ნათქვამი, მაშინ შეიძლება მისი სიმწვავეც ასატანი და მისაღები გახდეს და სარგებლობაც მოიტანოს.

ამ მხრით ჩვენ უთუოდ უნდა გავიხსენოთ ჩვენი ძველი თეატრალური კრიტიკის ტრადიციები. შეიძლება სრული დამაჯერებლობით ითქვას, რომ მარიამ საფაროვ-აბაშიძის, ნატო გაბუნიას, ვასო აბაშიძის, ლადო ალექსი-მესხიშვილის, კოტე ყიფიანის, კოტე მესხის, ვალერიან გუნიას, ეფემია მესხის, ელისაბედ ჩერქეზიშვილის თეატრალური სკოლა, მათი ნიჭის აღმზრდელი, მათი სასცენო ტალანტის მშობელი დედა იყო ილია ჭავჭავაძის, სერგეი მესხის, აკაკი წერეთლის, ვანო მაჩაბლის, გიორგი წერეთლის, რაფიელ ერისთავის, ნიკო ნიკოლაძის პირუთვნელი კრიტიკა, კრიტიკა, თეატრალური ხელოვნების დიდი ცოდნით აღჭურვილი, კრიტიკა, სცენისა და მსახიობისადმი დიდი სიყვარულით გამსჭვალული, კრიტიკა მკაცრი და მართალი. ამ აღმზრდელობითი კრიტიკის ერთ-ერთ შესანიშნავ ნიმუშად აქვე მოვიყვანთ სერგეი მესხის ღია წერილს ქართველ არტისტებისადმი, წერილს, რომელიც ჯერ კიდევ ჩვენი სცენის დიდი მსახიობების შემოქმედებითი მუშაობის დასაწყისში (1882 წ.) იყო გამოქვეყნებული. „ქართველი საზოგადოება, — სწერდა ს. მესხი, — ერთი ორად უფრო ხალისიანად ივლიდა ქართულ წარმოდგენებზედ, ჩვენს არტისტებს ერთი შესამჩნევი ნაკლულევანება რომ არ სჭირდეთ. მხოლოდ საფაროვის ქალსა აქვს იმისთანა მშვენიერი, კაფიერი გამოთქმა, რომ რაც უნდა ჩქარა ლაპარაკობდეს, მაინც ყოველი იმისი სიტყვა სულ უკანასკნელ სკამებზედ მსხდომებსაც კი ესმით.

„შემდეგ ამისა ქ. მესხის გამოთქმასაც არა უჭირს-რა, მაგრამ სხვებს კი ყველას თითო წუნი აქვს.

„გაბუნიას ქალი, როდესაც გაცხარდება ხოლმე, თითქმის მთელ სიტყვებს ყლაპავს და როცა დარბაისლურად ლაპარაკობს, მაშინაც ძალიან უჭირდება, უფრო იმის გამო, რომ არ არის ცოტა ღრმა ლაპარაკს შეჩვეული და ხშირად ამგვარის ლაპარაკის დროს ისე ებნევა თავ-ბედი, რომ შუაზე გაჩერდება და გაგრძელებას ვეღარ ახერხებს.

„ვ. აბაშიძე ენას უკიდებს და თუმცა ეტყობა, რომ ცდილობს ამ ნაკლულევანების შესწორებას, მაგრამ ეს ცდა დიდხანს უნდა გაგრძელდეს, თუ რიგიანის გამოთქმის სწავლა უნდა.

„ქ. ყიფიანსაც რაღაცნაირი საოცარი გამოთქმა აქვს. სიტყვის პირველ ნახევარს კი კარგათ ამბობს, მაგრამ სხვა კი სადღაც ჰქრება, კაცს ასე ჰგონია სიტყვის მეორე ნახევარმა მუცელში ჩაიყურყუმალავაო...

— „ჩვენ არტისტებს ერთი ღონე დარჩენიათ: უნდა ხშირად მოიყარონ ხოლმე თავი ერთად და იკითხონ ქართული ლექსები, კარგი ენით დაწერილი პროზა და ენა შეაჩვიონ ქართულის რიგიან კითხვას. იმედი მაქვს, არც სხვა ქართულის ენის მცოდნე პირნი და კარგი მკითხველნი დაზარდებიან ორ კვირაში, თვეში ერთხელ თითო საღამოს შეწირვას, რომ ხანდისხან თითონაც წაუკითხონ და ცუდად მკითხველ არტისტებსაც გაუსწორონ კითხვა. თუ ამ რჩევას მიჰყვნენ, მაშინ ყველა მათგანი ქართულ ენას უფრო გაიკაფავს და ქართული წარმოდგენები, თუ ეხლა სასიამოვნონი არიან, მაშინ ერთი ორად გაუკეთესდებიან" („დროება", 1882 წ., № 28).

თუ თეატრალურ კრიტიკას არ ახლავს ასეთი პროფესიულობა, კონკრეტიულობა, ნაკლის გარკვეული აღნიშვნა და მის თავიდან ასაცილებელ ღონისძიებებზე მითითება, მას არავითარი სარგებლობის მოტანა არ შეუძლია.

ილია ჭავჭავაძემ თეატრალურ კრიტიკას პროფესიული სცენის განახლებისთანავე (1879 წ.) ხელთ შესანიშნავი საზომი მისცა, რომლის მიხედვითაც ფასდებოდა როგორც რეპერტუარი, ისე აქტიორული ოსტატობა. „ჩვენ სცენას ორ ღვაწლს ვსთხოვთ, — აცხადებდა ილია ჭავჭავაძე, — პირველი, რომ მართლა განმწმენდელი იყოს ჩვენის ცხოვრებისა, ჩვენის ჭკუისა და გულის განმანათლებელი და მწრთვნელი, და მეორე — იგი უნდა იქნას იმ ადგილად, სადაც ჩვენი ენა ფეხზედ უნდა წამოდგეს მთელი თავისი შვენებითა და სიმდიდრით" (ტ. VI, გვ. 47). ილია ჭავჭავაძემ თეატრალურ კრიტიკას იმ თავითვე ჩაუნერგა ცოდნის სიყვარული, პრინციპულობა, სიმართლითა და სიმკაცრით წერის ჩვევები. „საჭიროა, რომ ჩვენმა ლიტერატურამ ყურადღება მიაქციოს თეატრის საქმეს, კვალში ჩაუდგეს და რამდენადაც გონება და ცოდნა გაუჭრის, იმოდენად, როგორც მოყვარემ პირში უძრახოს, კარგი და ავი პირში უთხრას, არ გაანებივროს ტყუილის ბარაქალითა და არც გული აჰყაროს ტყუილის დაწუნებითა".

კარგისა და ავის პირში მთქმელი კრიტიკის მაგალითს ი. ჭავჭავაძე თვით იძლეოდა: თავის ახლო მეგობრის, ქართული თეატრის მოამაგის დავით ერისთავის მიერ გადმოკეთებული ერთ-ერთი პიესის შესახებ ილია მოურიდებლად სწერდა: „თითონ კომედიაზე ბევრს ვერას ვიტყვით, შევნიშნავთ მხოლოდ, რომ ამ თხზულებას სამი ნაკლულევანება აქვს, თორემ სხვაფრივ კი არა უჭირს-რა. ერთი ისა, რომ დამწერმა რად დასწერა? მეორე ისა, რომ თუ დამწერმა დასწერა, გადამკეთებელმა რად გადააკეთა? და მესამე ისა, რომ თუ ორნივ შესცდნენ, თეატრში მაინც რად წარმოადგინეს?" (იქვე გვ. 63).

თეატრალური კრიტიკის ერთ-ერთი მთავარი მოვალეობაა, იყოს მხატვრული მეტყველების შემფასებელი. თუ სცენაზე მსახიობის მართლმეტყველება სუსტობს, მაშინ მისი ხელოვნება არაფრად არა ღირს.

ეხლანდელ რეცენზიებში, სამწუხაროდ, აქტიორული ოსტატობის ამ მხარეს—მართლმეტყველებას, მხატვრულად წარმოთქმული სიტყვის ძალას ყურადღება არ ექცევა. კრიტიკას მსახიობის შემოქმედების ეს მნიშვნელოვანი მხარე სრულიად გამორჩა მხედველობიდან. ჩვენთვის კი მეტად საინტერესოა, ჩვენი თეატრის შემდგომი ზრდა-განვითარების თვალსაზრისით, გამოგვერკვია, თუ რა მდგომარეობაშია ჩვენს სცენაზე სახიერი სიტყვა-პასუხი, მხატვრული მეტყველება. მგონი, არც ისე უნაკლოა ამ მხრივ ჩვენი სცენა, რომ კრიტიკის მიერ მსახიობის შემოქმედების ამ გადამწყვეტი ელემენტის უგულებელყოფა მართებულად იყოს მიჩნეული.

ეს იმით აიხსნება, რომ რეცენზენტები სასცენო ხელოვნების თავისებურობას ან ნაკლებად იცნობენ ან ნაკლებ ანგარიშს უწევენ. თეატრალური კრიტიკა ჩვენში მეტის-მეტად „ლიტერატურულია", უფრო დრამატიული მწერლობის შეფასებაა. აქტიორული და რეჟისორული შემოქმედება უმეტეს შემთხვევაში გვერდავლილი რჩება. რეცენზიის ბოლოში რამდენიმე საერთო მოცვეთილი ფრაზით იოლად ფონს ვერ გავალთ. წლების განმავლობაში არ იწერება მონოგრაფიები, ცალკეული წერილები ჩვენი სცენის თანამედროვე ოსტატების შესახებ.

ამას წინად საჭირო გახდა შეგვეჯამებინა, რაც კი 18 წლის განმავლობაში დაწერილა თითოეული აქტიორის შემოქმედების შესახებ. ხელთ ისეთი გამოთქმების გროვა შეგვრჩა, რომ მსახიობის შესრულების შესახებ აზრიანი სიტყვა თითქმის ვერ მოვძებნეთ. რეცენზიების უმეტესობა საოცრად მშრალი, ძუნწი და არაფრის მთქმელია. მაგალითად, ვ. ანჯაფარიძეზე მხოლოდ ამას ვპოვეთ: „ვ. ა. მშვენიერი ხელისშემწყობი იყო", „ოფელია — ვ. ა-ს საუკეთესო ქმნილებაა", „ვ. ა-ს ღირსეულად ჰქონდა მიკუთვნებული როლი". „განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ვ. ა.", „თავისი როლის დამუშავებით გამოირჩევა ვ. ა.", „ჩვენ გვინდა ხაზი გაუსვათ ვ. ა-ს მიერ ამერიკელი ქალის ტიპის ტრაქტოვკას", „განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ ვ. ა.", „დეზდემონის როლის შესრულების მაღალი მაჩვენებელი მოგვცა ვ. ა-მ", „შემსრულებელთა ფონზე პირველ რიგში აღსანიშნავი არიან ვ. ა. (განატრეს როლში) და სხვ." და ასე შემდეგ დაუსრულებლივ.

ცხადია, ამდაგვარ შეფასებას არავითარი აზრი არა აქვს არც მსახიობისათვის, არც მაყურებლისათვის, ხოლო როგორც დოკუმენტი, მასალა მსახიობის შემოქმედების შესწავლისათვის ხომ სრულიად უვარგისია.

რეცენზიები ხშირად ნაუცბათევია, მსახიობის წლობით ნატარებს, ნაფიქრს, ნააზრევს მთელი თვეების დაუცხრომელი შემოქმედებით შექმნილს რეცენზენტი მშრალად, ერთი კალმის უხიაგი მოსმით „აფასებს".

თეატრალურ კრიტიკას ჩვენში მუდამ აცოცხლებდნენ, ძალას და აზრს მატებდნენ მხატვრული სიტყვის ოსტატები. სასცენო ხელოვნების თავისებურების ახსნა-გარკვევის საქმეში დაუცხრომლად მუშაობდა სცენის მუშაკთა კალამიც. დღეს რატომღაც ჩვენი მწერლები და სცენის შემოქმედი მუშაკები ჩვენში თეატრალურ საკითხებზე წერას გაურბიან, ეს კი დასანანებელი დანაკლისია ჩვენი კრიტიკისათვის.

ხელოვნების საქმეთა სამმართველოს, მწერალთა კავშირს, ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს განსაკუთრებული ყურადღება მართებთ, რომ თეატრალური კრიტიკა ჩვენში უფრო გაცხოველდეს და ამაღლდეს, რომ მან კომუნისტური აღზრდის საქმეში, ჩვენი თეატრალური კულტურის შემდგომ ზრდა-წარმატებაში თავისი როლი პირნათლად შეასრულოს.

დ. ჯანელიძე

თავდაცვითი მხატვრული ლიტერატურის ამოცანები

უაღრესად საინტერესო და ყოველმხრივად საგულისხმო იყო თათბირი, რომელიც მოაწყო საქართველოს მწერალთა კავშირის თავდაცვითი მხატვრული ლიტერატურის სექციამ ა.-წ. 16 ივლისს.

მოხსენებით თავდაცვითი მხატვრული ლიტერატურის ამოცანებზე გამოვიდა სსრკ მწერალთა კავშირის თავდაცვითი-ლიტერატურული კომისიის ბიუროს წევრი, მწერალი ა. ისბახი, თანამოხსენებით—ჟურნალ „ზნამიას" სარედაქციო კოლეგიის წევრი ს. ვაშენცოვი. თათბირში მონაწილეობა მიიღო ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს კულტგანყოფილების უფროსმა ამხ. პოჟარნიცკიმ.

საბჭოთა ლიტერატურა,—სთქვა მომხსენებელმა ისბახმა, — რომლის ამოცანაა მასებში გააღვივოს განუსაზღვრელი სიყვარული სოციალისტური სამშობლოსადმი, გვიჩვენოს სოციალიზმის ძლევამოსილება საბჭოთა კავშირში, დაგვანახოს მისი გამარჯვების წარმტაცი პერსპექტივები მსოფლიო მასშტაბით, დაგვიხატოს თანამედროვეობის და რევოლუციური წარსულის მოწინავე ადამიანები, ხალხის თავდადებულ შვილთა სახეები, ასეთი ლიტერატურა თავისი ხასიათით, მთელი თავისი არსებით არის თავდაცვითი ლიტერატურა, რომელსაც განუზომელი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ საკუთრად თავდაცვითს მხატვრულ ლიტერატურას ჩვეულებრივ ვუწოდებთ იმ ნაწარმოებებს, რომლებიც უშუალოდ ეხებიან სოციალისტურ სამშობლოს თავდაცვის პრობლემებს და გვიხატავენ წითელი არმიის როლს, მის ადამიანებს სამოქალაქო ომებში, კაპიტალისტურ არმიებთან შეჯახებაში და სოციალიზმის მშენებლობის ვითარებაში. თუ რა განუზომელი საერთაშორისო ზემოქმედებითი ძალა აქვთ წითელი არმიის სახელოვან წარსულსა და აწმყოზე დაწერილ საბჭოთა მხატვრულ წიგნებს, ეს ნათლად დაგვანახა ესპანეთსა და ჩინეთში წარმოებულმა ომებმა. ჩაპაევი გადაიქცა ესპანელ და ჩინელი ხალხის სათაყვანებელ გმირად, რომლის სახეც წინ მიუძღოდა მებრძოლებს, როგორც დროშა. საბჭოთა ფილმებს „ჩაპაევს" და „ჩვენ კრონშტადტიდან ვართ" აღმოაჩნდათ უდიდესი შთამაგონებელი ძალა, რამაც ესპანელ მუშებს და გლეხებს ბრძოლისათვის სიმხნევე შემატა. ჩაპაევის სახელობის ბატალიონი, **სტალინისა** და **ვოროშილოვის** სახელობის ბატალიონებთან ერთად, წარმოადგენდა საბრძოლო ერთეულს, რომელმაც თავისი თავგანწირული გმირობით არა ერთი და ორი სახელოვანი ფურცელი შეიტანა ესპანეთის ხალხის გამანთავისუფლებელი ბრძოლების ისტორიაში. ასევე საყვარელი და პოპულარული გახდა ესპანეთსა და ჩინეთში დიმიტრი ფურმანოვი, რომლის სახელს ესპანელი მებრძოლები უწოდებდნენ რესპუბლიკური არმიის ყველაზე მტკიცე და შეუდრეკელ პოლიტიკურ კომისრებს. თავისი ცხოვრებით და შემოქმედებით ფურმანოვი მისაბაძი გახდა მსოფლიოს რევოლუციური მწერლობისათვის. ესპანეთის ომში ინტერნაციონალური ბრიგადის მონაწილე არა ერთმა მწერალმა გვიჩვენა, რომ ახალი ტიპის მწერლის მოვალეობაა არა მარტო კალმით ემსახუროს ჩვენი ეპოქის მოწინავე იდეებს, არამედ იარაღით ხელში იბრძოლოს ამ იდეების განხორციელებისათვის, მუშათა კლასის საქმისათვის. მცირე როდია ისეთ მწერალთა რიცხვი, რომელნიც რევოლუციის გამარჯვებას ხელს უწყობდენ არა მარტო მხატვრული შემოქმედებით, არამედ უშუალო ბრძოლით. ისინი უშუალოდ იღწოდნენ და იღწვიან როგორც პოლიტიკური ხელმძღვანელები, როგორც მეომრები, როგორც სამხედრო კორესპონდენტები.

თავიანთი პირადი გამოცდილების მხატვრული დამუშავებით ისინი ამდიდრებენ მსოფლიო რევოლუციურ ლიტერატურას. ამ რევოლუციური მწერლობის ავანგარდს წარმოადგენს საბჭოთა მწერლობა, რომელმაც შექმნა თავდაცვითი-რევოლუციური ლიტერატურის ოქროს ფონდი, მაგრამ ის, რაც დღემდე საბჭოთა მწერლობას ამ ფონდისთვის მიუცია, არ არის საკმაო. ამჟამად შექმნილი დაძაბული საერთაშორისო ვითარება გვავალებს განვაგრძოთ და განვამტკიცოთ ეს სახელოვანი ტრადიცია. უკანასკნელ ხანებში მოწმენი გავხდით იმისა, რომ მრავალი ნიჭიერი მწერალი თავის სასახელო და საპატიო მოვალეობად სთვლის ისეთი თემების დამუშავებას, რომლებიც აძლიერებენ საბჭოთა პატრიოტიზმის წმინდა გრძნობას, ხელს უწყობენ სამობილიზაციო მზადყოფნას. ასეთ ნაწარმოებს წარმოადგენს მაგ. ალ. ტოლსტოის „პური", რომლის უდიდესი მნიშვნელობა ის არის, რომ მან მხატვრული სიძლიერით გვიჩვენა ამხანაგი **სტალინი** და ამხანაგი **ვოროშილოვი**, როგორც მთავარსარდლები, როგორც სამხედრო ოპერაციების სწორუპოვარი ხელმძღვანელები. სამოქალაქო ომზე დაწერილმა ა. პერვენცევის წიგნმა „კოჩუბეიმ", რომელიც სამოქალაქო ომების ერთერთ შესანიშნავ გმირს გვიხატავს მთელი თავისი შინაგანი სირთულით და წინააღმდეგობებით, სავსებით გააბათილა ის შეხედულება, თითქოს საბჭოთა ლიტერატურას უკვე ამოწურული ჰქონდეს სამოქალაქო ომების თემა. განსაკუთრებით აღსანიშნავი და მისასალმებელია ის რომ საბჭოთა ლიტერატურაში მოვიდნენ, როგორც შესანიშნავი ნაწარმოებების ავტორები, ჩვენი ქვეყნის მოწინავე ადამიანები, საბჭოთა კავშირის გმირები. უდაო მხატვრულ ღირსებას შეიცავენ და დაძაბული ინტერესით იკითხებიან ის წიგნები, რომლებიც დასწერეს საბჭოთა კავშირის გმირებმა გ. ბაიდუკოვმა, მ. ვოდოპიანოვმა, მარინა რასკოვამ, ი. სპირინმა და ი. პაპანინმა.

შეეხო რა თავდაცვითი ლიტერატურის ამოცანებს, მომხსენებელმა სთქვა, რომ ამ ლიტერატურის თემატიური მოცულობა ძალიან ფართო და ვრცელია. შეიძლება დაიწეროს ნაწარმოები ჩვენი ქვეყნის და ჩვენი ხალხის შორეულ-ისტორიულ წარსულზე, მაგრამ დაიწეროს ისე, რომ მასში მკითხველმა ნახოს და განიცადოს ის, რაც მას დღეს აღელვებს.

მაგრამ ამით როდი ამოიწურება საბჭოთა მწერლის ამოცანა. მკითხველი მოითხოვს წითელი არმიის ყოველდღიური ცხოვრების მხატვრულ განსახიერებას, იმის ჩვენებას, თუ როგორა ზრდის წითელი არმია სახელოვან გმირებს, თუ როგორ იბადებიან წითელი არმიის ყოველდღიურ ცხოვრებაში ისეთი ადამიანები, რომელთა სიდიადე ნათელი გახადა ხასანის ამბებმა. საბჭოთა მწერალი უნდა შეეჩვიოს გმირის დანახვას არა მარტო ბრძოლის ფრონტზე, არამედ წითელი არმიის მშვიდობიანი მუშაობის, საბრძოლო მზადების პირობებში.

ამხ. ს. ვაშენცოვი მწერალთა აქტივს აცნობს ჟურნალ „ზნამიას" სამუშაო გეგმას და სთხოვს მწერლებს, რომ თავიანთი თანამშრომლობით დაეხმარონ რედაქციას იმ ამოცანების გადაჭრაში, რომელსაც ამ ჟურნალს დღევანდელი მომენტი უყენებს. იგი საჭიროდ სთვლის, რომ სამხედრო თავდაცვითი ლიტერატურის სექციამ ქართული მწერლობა მჭიდროდ დაუკავშიროს ჟურნალ „ზნამიას".

მოკლე მოხსენებით საქ. მწერალთა კავშირის თავდაცვითი ლიტერატურის სექციის მომავალი მუშაობის შესახებ გამოვიდა ამხ. ა. გომიაშვილი. გაუკეთა რა მოკლე მიმოხილვა თავდაცვითი თემებზე დაწერილ ქართულ მხატვრულ ნაწარმოებებს, ამხ. გომიაშვილმა აქტივს მოკლედ გააცნო უახლოესი სამუშაო გეგმა. სექცია უკვე შეუდგა იმის გამორკვევას, თუ რომელ მწერალს რის გაკეთება შეუძლია საჭიროების შემთხვევაში. ანკეტებისა და პირადი დაკითხვის საშუალებით სექცია ამჟამად არკვევს ყოველი მწერლის სამხედრო განათლებას, სამხედრო ცოდნას, სამხედრო-ლიტერატურულ მომზადებას და საბრძოლო გამოცდილებას. ამის გამორკვევა, ამბობს ამხ. გომიაშვილი, მოგვცემს მწერალთა სამობილიზაციო მზადყოფნის საერთო სურათს.

ამ მოკლე ხანში განზრახულია მოხსენებისა და საუბრების მოწყობა შემდეგ თემებზე: თანამედროვე ომის ხასიათი და დინამიკა, მომავალი ომის სტრატეგია, წითელი არმიის ორგანიზაცია და ტაქტიკა, ჯარის სხვადასხვა გვარეობის ურთიერთმოქმედება ომის დროს, სამხედრო ტოპოგრაფიული რუკის კითხვა, პრესა ომის დროს, მხატვრული ლიტერატურის როლი მომავალ ომში და სხვა. სამხედრო თემებზე მომუშავე მწერლებისათვის საკონსულტაციოდ სექცია მოიწვევს სამხედრო სპეციალისტებს და აგრეთვე მიიღებს ზომებს, რომ მწერლები სისტემატურად ესწრებოდნენ სამხედრო ტაქტიკურ მეცადინეობას (მანევრებს და სხვა).

ვრცელი სიტყვით გამოვიდა ამიერ-კავკასიის [illegible] პოლიტსამმართველოს კულტგანყოფილების უფროსი ამხ. პოჟარნიცკი, რომელიც, შეჩერდა რა საბჭოთა მწერლობის ამოცანებზე თავდაცვის სფეროში, დააზუსტა და დააკონკრეტა ის ღონისძიებები, რომელთაც უნდა გააცხოველონ მწერალთა მუშაობა თავდაცვით თემებზე.

კამათში მონაწილეობა მიიღეს მწერლებმა ს. ეულმა, რ. ქორქიამ, ს. წვერავამ, ბ. ჩხეიძემ, პ. კეშელავამ და სხვ., რომლებმაც, გააკრიტიკეს რა თავდაცვითი სექციის მუშაობა, მოითხოვეს, რომ მომავალში სექციამ თავისი სისტემატური ყოველდღიური მუშაობით საქმედ აქციოს მის მიერ წარმოდგენილი სამუშაო გეგმა.

ბექა ოპიზარი

შალვა აფხაიძე

გერონტი ქიქოძეს

ისევ აანთო გრძელი ღამე მე ვიძარე ვარდად,
ნაჭედ სახეზე შუადღეა, აღარ ბინდდება.
მან ჩუქურთმებში დაატყვევა სულის დიდება
და ნაზ ხაზებში გადამალა, რაც კი უყვარდა.

ოქროს ხვაშიადს გრძელ ოცნებით ახადა ფარდა,
ოქროს ბრწყინვაში კაცი, ველი, ცა იწმინდება,
დაუღალავი მზე ჩარჩოში სიცოცხლედ დნება
და უკვდავებით დრო თავისი მოასვენა.

ქართლის ბაღებში დაკრეფილი ცვრიანი ფოთლით
შეამკო ძვირფას ქალის გული, ნაზად ფარული,
დროთა ჭრილობის უკუღმართი ჩააქრო შფოთი
და გააცოცხლა: ვნება, მიწა და სიყვარული.
ცხოველ ფერების მან აუშვა მძვინვარე ქარი
და გააშუქა საქართველო კვლავ მინანქარით.

ორი ლექსი

ვიქტორ გაბესკირია

ზამთრის დილა სამეგრელოში

ცეცხლი დაანთეს მოკრძალებით, ზანდუკზე დადვეს
ჭრელი საბნები, აბრეშუმის ძაფით ნაკერი.
სიჩუმე არის ოთახში და დევს მაგიდაზე
სანთლის ჩრაჟი და ტკბილისკვერი.

ტკაცრიალებს ცეცხლი და თოვაში მოსჩანს ფანჯრიდან
განაბული ტყე, ზამთარს შიშით რომ ეგებება.
წნელის ღობესთან ბუჩქებს შორის შაშვი დაფრინდა
და იკენკერა.

ოთახში არვინ არ შემოდის, ვერ მოიცალეს,
ალბად, ჯერ კიდევ მასპინძლებმა. დავცქერი ბუხარს.
მივიწყებული, ასე ტკბილი ცეცხლი ტკაცრიალებს
და მეუბნება: „ჩვენებური ხარ!"

ჭყის ღელე

ზოგჯერ ნიავი მის ნაპირებს შრიალით უვლის,
ზოგჯერ ღამის ან დღის მნათობი მშვიდად დახედავს,
შემდეგ კი ისევ, ყველასაგან მივიწყებული,
ჩუმად ჩაუდის დახრილ ტოტებს და ჩრდილებს ხეთა.

ძველად ის ტყეში წისქვილისთვის გაუყვანიათ,
ნაწისქვილართან ხავსიანი კვლავ მოსჩანს ლოდი;
მის ნაპირებზე ყვავილებიც ხშირად ჰყვავიან,
მაგრამ საკრეფად არვინ არ მოდის.

მისამართიანი ლექსები

ალიო ადამია

ბურთი და ნაწნავები

გაზაფხულს მოაქვს მრავალი ფერი
(სხვა ცისკარია და დაბინდება),
მოაქვს ხევებში დიდი ლანქერი,
მინდვრად მდელოთა აბიბინება.

ჩააცვამს ქალებს ვარდისფერ ჩითებს,
გადაათეთრებს ტყემლებს, ალუჩებს,
მწვანით შემოსავს ტყესა და ჩიტებს,
საერიამულო საქმეს გაუჩენს...

აასულდგმულებს ლერწამს ჩობანი,
მთებს შეცრეცილი ნისლი ებურ ვით,
მინდორ-ველები და ხეობანი
ჩანან კალმახის ზურგისებური!

შენ, გაზაფხულის ისევ მხილველი,
ისე შეჰხარი ბურთის გაგდებას,
როგორც ხვდებიან ხოლმე ფრინველნი
ზეიმით ცისკრის ამონათებას...

ბურთს გაზაფხული აცახცახებს
(მობურთალენი ამ დროს ელიან),
გამარჯვებაა თუ დამარცხება
ჩვენთვის ორივე მოსალხენია.

წაიღეს, გაჰკრეს, უკვე გათრთოლებს,
შეჰკივლებ, ბურთი თუ ბადეს აცდა.
ამ დროს მე მიყვარს შენს სიახლოვეს
ყოფნა და შენის გრძნობების განცდა...

შესწყდა თამაში, ხალხი დაჩუმდა,
ბრუნდები შინ და გზა და გზა ნაღვლობ
რამდენი კარგი ბურთი გაფუჭდა
მობურთალეთა სიცუდის გამო!

მე სხვას ვინაღვლი (ეს შენის ეშხით)
მსურს გამარჯვება დამრჩეს ადვილად,
შენის ნაწნავით ნაქსოვ ბადეში
მაგრად გამხვია ბურთის მაგივრად.

⊙

გაზაფხულია, ველიც და ხრამიც
ცვარით შემკულა, მძივად აცმულით,
ორი წერტილი — ის ორი ხალი
ვით სილამაზის შენის დასტური

ჩანს და სახესაც ეს ორი მძივი
გიმკობენ, მეტი რა ჰქნას ხალებმა?
ცვარი თუ ჩადგა წამწამთა ჩრდილში,
დააშრობს მისი დახამხამება...

ორი ნოველა

ელიზბარ პოლუმორდვინოვი

სინათლე

მოხუც ნოჩოს ბავშვობიდან თან დაჰყვა სიძულილი სიბნელისადმი. როდესაც სოფელი მწუხრში ეხვეოდა, ნაღველითა და სინანულით სავსე თვალებით შესცქეროდა ნოჩო მთებიდან ზღვაში ჩაძირულ მზეს, თითქოს ემშვიდობებაო, მერე თავის ფაცხისაკენ გასწევდა.

შემოაღამდებოდა კიდეც გზაში.

ფაცხაში შესვლისას გულშემზარავი სიბნელე ხვდებოდა. ნავთი და სანათი არასოდეს არა ჰქონია, ხანდახან კვარიც ელეოდა. თუ მთვარიანი ღამე იქნებოდა, ფაცხის სახურავის ალაგ-ალაგ ისლშემოცრეცილ ადგილებიდან შეხედავდა ცას და ვარსკვლავებს ათვალიერებდა. ზამთრის კვიმატ ღამეში მჭადსა და დამმარულ პრასას შეექცეოდა, მერე კუნჭულში ჩალას დააფენდა და დაქანცული, ცოლშვილზე ადრე მიიძინებდა.

ასე მიდიოდა მისი ცხოვრება. სინათლის ნატვრაში უკან დასტოვა სიცოცხლის სამოცდაათი წელი.

ბედნიერება ზედიზედ ეწვია მოხუცებულობისას.

კოლმეურნეობა შეძლებული გახდა. მოხუცმა ნოჩომ და მისმა დავაჟკაცებულმა ვაჟმა ჩიკოლიმ იმდენი შრომა-დღე გამოიმუშავეს, რომ მშვენიერი ოთხთვალიანი ოდა-სახლიც აიშენეს. მის ოჯახში გაჩნდა ღვინო, ხორცი, თავსაყრელად ლობიო. მანდარინებიც კი უხვად ჰქონდა. სანათმა გაანათა მათი სახლი.

სხვა კოლმეურნეებთან ერთად ერთხელ ნოჩოც თბილისში ჩამოიყვანეს. ელნათურებით გაბრწყინებული ქუჩები, მოედნები და დარბაზები რომ ნახა, სიხარულით ცას დაეწია. სოფელში დაბრუნებისას სულ ამას გაიძახოდა:

— აი, სინათლე ეს არის! ისე ბრწყინავს, რომ მზის ჩასვლა არ დაგენანება, ღამეც კი შეგიყვარდება კაცს.

შემოდგომაზე კოლმეურნეობამ უხვი მოსავალი მიიღო. მისმა დოვლათმა რამდენიმე მილიონს მიაღწია.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე გიორგი ჯგუბურია ამ მოსავლის შემდეგ სულ დაფიქრებული დადიოდა. რაღაც აზრი აეკვიატა და ვერ გადაეწყვიტა, როგორ მოქცეულიყო. ძალიან ხშირად მარტოდ-მარტო აჰყვებოდა ხოლმე სოფლის მდინარეს ოქუმს, ათვალიერებდა მის ნაპირებს, ფართოდ გადაშლილ კალაპოტს, აკვირდებოდა მის სწრაფ მდინარებას.

ბოლოს, კოლმეურნეობის გამგეობის სხდომაზე ელექტროსადგურის აგების საკითხი დასვა. ეს ამბავი ელვასავით მოედო მთელ სოფელს. გიორგის წინადადებას ყველამ მხარი დაუჭირა.

— ჭკვიანი კაცია ჯგუბურია, იცის, რაც ესაჭიროება სოფელს.

— ის მართლაც ზრუნავს ჩვენთვის.

გაიძახოდნენ კოლმეურნენი.

ეს რომ მოხუცმა ნოჩომ გაიგო, ეჭვიანად გაიღიმა. არ დაიჯერა.

— ნამდვილად, ბაბუა ნოჩო, ნამდვილად, აი, ოქუმის წყალზე, თურმე დიდი ძალა ჰქონია ოქუმს,—არწმუნებდნენ ნოჩოს ახალგაზრდები.

ჩაფიქრდა ნოჩო. ნუთუ მართლა ჩვენს სოფელშიც ისეთი სინათლე იქნება, როგორიც თბილისში ნახა, ნუთუ ასეთი სიკეთის მომცემია ოქუმი? რამდენჯერ დაუწყევლია ნოჩოს ეს მდინარე, როდესაც ადიდებულა და ნაპირებიდან გადმოსულს მისი ნათესი წაულეკია.

ნოჩო მდინარისაკენ გაეშურა.

ახლა უკვე სიყვარულით და ალერსიანი თვალით გადახედა ოქუმს. ისე უცქეროდა, თითქოს ბოდიშს იხდისო იმ წყევლა-კრულვისათვის, რომელსაც ნოჩო მისთვის იმეტებდა. უცქეროდა გაშლილ კალაპოტს, ქვებითა და სილით დაფარულ ღელეს. მოიგონა ისიც, ადიდების დროს რამდენჯერ გადაუბრუნა ურემი, როგორი თავგანწირვით ებრძოდა მაშინ, როცა ხარებს უხრჩობდა.

დაბრუნდა შინ კმაყოფილი და თითქოს მდინარისაგან ნაპატიები, შერიგებული.

ერთი თვეც არ იყო გასული, რომ თბილისიდან ოსტატები ამოვიდნენ.

მშენებლობა დაიწყო.

კოლმეურნე, რომელიც კი პლანტაციაში მუშაობისაგან თავისუფალი იყო, მშენებლობაზე გავიდა. იქ გაწეული ჯაფაც შრომის წიგნაკში ეწერებოდა.

— შრომა დღეს რაღათ ჩავიწერ, ჩემთვის სინათლე გამყავს და კიდევ ფარა მოვითხოვო?—ამბობდა ნოჩო თანამოძმე კოლმეურნეებში.

ის ისე თავდაუზოგავად მუშაობდა, რომ ახალგაზრდებს არ ჩამოუვარდებოდა.

სოფლის თავზე, ქავშქეთის გორაკის ძირთან, მდინარე ოქუმს ფერდი გაუჭრეს და ნახევარი კილომეტრის მანძილზე არხის გათხრას შეუდგნენ.

კოლმეურნეთა ნიჩბები და წერაქვები კლდის ჯავარიან ქვაზე ერთობლივად მოქმედებდნენ. თეთრ-ყვითელი ქვა წერაქვის ყოველ დარტყმაზე ნაპერწკლებს ჰყრიდა.

გიორგიც მათთან იყო განუყრელად.

— ბაბუა ნოჩო ისე მარჯვედ მუშაობს, ლამის დაგვჯაბნოს კიდეც,—ამბობდნენ მის გვერდში მომუშავე ახალგაზრდები.

— სადღა შემიძლია, შვილებო, დავბერდი, თქვენ რავა შეგედრებით, — უპასუხებდა ნოჩო.

— ხომ გაგიგონია, ბაბუ, ბებერი ხარის რქანიცა ხნავენო, განა ეს მართალი არ არის?—საყვარელი მოხუცის გულის გასახარად ეუბნებოდნენ კოლმეურნენი.

მუშაობა მთელ ზამთარს მიმდინარეობდა.

მშენებლობა დამთავრდა კიდეც. საჭირო იყო მხოლოდ გენერატორის დადგმა და ელექტრო-სადგურიც ამუშავდებოდა.

ყველა გულმწყურვალედ ელოდა ამ დღეს. მოხუცი ნოჩო ხომ სულ ამის ფიქრში იყო.

დადგა გაზაფხულიც. მზიანი და ნათელი გაზაფხული.

და ამ გაზაფხულის ერთ უიღბლო დღეს მოხუცმა ნოჩომ შეუძლოდ იგრძნო თავი. პირველ დღეებში ავადმყოფობას არ უვარდებოდა. მუშაობას არ გაურბოდა, მაგრამ შემდეგ სიცხეს ვეღარ გაუძლო და ლოგინში ჩაწვა.

მიდიოდა დღეები და ავადმყოფობა უძლიერდებოდა. ნოჩო უფრო და უფრო უარესად გრძნობდა თავს.

როდესაც მისი ვაჟი შინ ბრუნდებოდა, სულ ამას ეკითხებოდა:

— ჩიკოლი, შვილო, მალე იქნება სინათლე?

— მალე, ბაბა, სულ მალე, ერთი კვირაც არ დააგვიანდება.

— ყველაფერს მოვესწარი — ოდას, ნანატრ ცხოვრებას, მეზობლების სიკეთეს. ახლა ოდაშიც სინათლე მექნება. სიცოცხლე აწია ჯგირი, ნეტავ მოხუცი არ ვიყო. ძველად სიკვდილი ბევრჯერ მინატრია, მარა, ღმერთმანი, აწი აღარ მინდა სიკვდილი,—ეუბნებოდა სანახავად მოსულ მეზობლებს სიცხიანი და დასუსტებული ნოჩო.

მერე ფიქრებით შორეულ წარსულში გადადიოდა, როდესაც ბნელით მოცულ ფაცხაში მზის ჩასვლის შემდეგ შესვლა ეზარებოდა.

მოსავლის ოსტატი განსაცდელში იყო. ყველა ცდილობდა მის გადარჩენას. ექიმი ყოველ დღე ნახულობდა. საჭირო წამალი მუდამ მზად იყო, გიორგიც ხშირად კითხულობდა მის მდგომარეობას.

ერთ დღეს ნოჩოს ოთახში ელექტრონის ხაზი გაიყვანეს. ჭერის შუაგულში ელნათურიც ჩამოჰკიდეს.

— მაშ, იქნება სინათლე?—მოუსვენრად კითხულობდა მოხუცი.

— იქნება, უსათუოდ...—პასუხობდა დანაღვლიანებული ვაჟიშვილი. მას იმედი ჰქონდა, რომ უდიდესი სიხარული მოაჯანიერებდა, მოარჩენდა.

აი, გიორგიც მოვიდა ნოჩოსთან. ავადმყოფი მოიკითხა. ახარა, ამ წუთში ელექტრო-სადგურიც ამუშავდაო.

მაისის კაშკაშა დღე იყო, გავარვარებული, მზით გაბრწყინებული.

სინათლე უხვად ელვარა ოთახში.

რამდენიმე წამის შემდეგ ელექტრონიც აანთეს. ბაჯაღლო ოქროსფრად გაბრწყინდა ელნათურა. დღის სინათლეზე მხოლოდ ბზინავდა, კედლებიდან ორი ბრძნული სახე შესცქეროდა სოფლის ოჯახში შეჭრილ შუქს.

— დაღამებისას აანთეთ, ახლა მზეა,—ბავშვური სიხარულით წარმოსთქვა ნოჩომ და აკანკალებულის ხელით შუბლიდან ოფლი გადაიწმინდა.

დღე ძალზე ზანტად მიდიოდა, მიიზლაზნებოდა მძიმე და მტანჯველი წუთებით.

შეშფოთებული იყო ოჯახი...

საღამოთი მოსული ექიმი საწოლს მძიმე, დაღლილი ნაბიჯით მოსცილდა. ხმა არ ამოუღია, გულჩათხრობილი მდუმარებით შესცქეროდა მოხუცის ვაჟს.

— გათავდა? — იკითხა ვაჟმა.

ექიმი სდუმდა. გათავდებაო, ფიქრობდა, ოღონდ ხმამაღლა არ ამბობდა.

კარგა რომ ჩამობნელდა, ნოჩომ ლოგინიდან თავი წამოჰყო, წინ წამოიწია, ელნათურისაკენ სახე ისე მიმართა, თითქოს ახლო მისვლა სწადიაო.

— უჰ, რა ნათელი ღამეა!—გარკვევით და სიტყვების დაყოფით სთქვა მან.

ვაჟმა მამას ზურგში მკლავი შეაშველა.

— აი, ხედავ შენ რო ამბობდი, ვერ მოვესწრებიო! გახსოვს თხუთმეტი წლის წინ კითხულობდი, რა არის ილიჩის ელნათურაო? აი ეს არის.

ნოჩო ფიქრობდა, რომ იქ, სადაც სინათლეა, დღეც და ღამეც კარგია. მას კი ღამე სძულდა. ახლა ღამეც შეუყვარდა.

მაგრამ მომაკვდავმა ამ ფიქრების გამოთქმა ვერ მოახერხა და სთქვა ის, რაც ყველაზე ძალიან აწუხებდა:

— აღარ მინდა სიკვდილი, ტკბილია ახლა სიცოცხლე!

და შეაშტერდა ელნათურს, თითქოს მისი სხივები გულში ჩაიღვარაო, მერე თავი შვილის მკლავზე გაჰკიდა.

მოწყენილი დუმილი არ დარღვეულა. უხმო ტირილში იმსხვრეოდა ცრემლები.

გარეთ კი, მთის ძირში, როგორც სოფლის გულისცემა, ფეთქავდა გენერატორი, რომელსაც მთელ სოფელზე გადაეფრქვია მრავალი ათასი ბრწყინვალე ელნათური.

ფაცხა და ოდა

„მიყვარს ფაცხა მე მეგრული,
მთა-კორტოხზე წამოდგმული"...

ეს ლექსი ბავშვობისას ზეპირად მისწავლია. ამ ლექსის სიყვარულით ფაცხაზე მშვენიერი წარმოდგენა მაქვს ჩარჩენილი. ფაცხა არ მენახა და ოცნებით მას ყოველთვის ლამაზსა ვხატავდი. თუ არა ბროლისა, წაბლის ან ნიგვზის ხისაგან ანაგები მაინც უნდა ყოფილიყო, ჩუქურთმებით შემკული, უნაზესი ფერებით შეფერილი...

ერთ დროს მიყრუებულ სოფელ ოქუმში, ფაცხას გარდა სხვა სახლი არ ყოფილა. დღეს-კი ყოველ კოლმეურნეს ახალი ოდა-სახლი აქვს.

ბავშვობის ოცნება მინდა შევამოწმო, საკუთარი თვალით მინდა ვნახო ფაცხა.

კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ვთხოვე:

— გიორგი, ფაცხა მინდა ვნახო, ისეთ ოჯახში წამიყვანე, რომ ფაცხაში ცხოვრობდეს.

გაეღიმა გიორგის. განცვიფრებული თვალებით შემომხედა.

— ვიღა ცხოვრობს ფაცხაში? აღარავინ!—მიპასუხა.

მერე ჩაფიქრდა. უნდოდა მოეგონა, სად მოიპოვება კიდევ ფაცხა. წამოდგა და სთქვა

— წავიდეთ!

მანქანამ გაჰქროლა.

სოფლის შუაგული ნამდვილ ბაღნარსა ჰგავს. იქ, ძველ ხეებთან ერთად, წელში გამართულან ახლად დარგული კვიპაროსები და ევკალიპტები.

გზას ავყევით მდინარის ნაპირნაპირ. შორიდან მაღლობზე მოსჩანდნენ მუხა, იფნი და ჰადარი, ხოლო დაბლობში, გზის ორივე მხარეს, უწესრიგოდ ამართული თხმელები. ამ თხმელებს ვაზები შემოხვეოდნენ და წვეროებისკენ მიიმართებოდნენ. როგორც ზაფხულობით იისფერ-ყვავილიანი ლიანები გარს ეხვევიან ხეებს, ისე ის იზაბელა ვაზები, იისფერი ყურძნის მტევნებით გარს ეხვევიან თხმელებს შემოდგომობით.

გზადაგზა გვხვდება საკარმიდამო ბაღნარებში ჩადგმული ჯერ შეულესავი ოდები. სოფლის განაპირას გავედით, მთა-კორტოხებზე ავხედეთ, მაგრამ ფაცხა ვერსად ვერ ვნახეთ.

— დაშალეს, გომურებადაც არ იყენებენ, — მეუბნება გიორგი, — ამაოა ფაცხის ძებნა. შევიდეთ ისევ ამ ახალ ოდაში, კოლმეურნის ოჯახი ვნახოთ.

და ბაღნარის სტახანოველის, მარო შამათავას სახლკარის წინ შევჩერდით.

ფართოდ გაიღო მასპინძლის კარი და გული.

წასული წლის დამლევს ამ ოჯახმა გაიხარა.

ახალგაზრდა დედამ ორასოთხმოცი შრომა-დღე გამოიმუშავა, ოჯახის მამამ ორასსამოცი. როდესაც ეს ახალგაზრდა დედა თავის საკარმიდამოში საქმიანობს, სიხარულით შესცქერის ქალ-ვაჟს, რვა წლის გულნარას და ექვსი წლის შოთას. იცის მარომ, რომ მის კარზე მომდგარი ბედნიერება უმთავრესად გულნარას და შოთას ეკუთვნის.

ოჯახმა ექვსი ათასი მანეთი ფულად მიიღო. ბეღელი აევსოთ სიმინდით, ღომით, ბოსტნეულით. ყურძენიც იმდენი დასწურეს, რომ ღვინო მომავალ ზამთრამდე ეყოფათ.

მარო ყველგან სახე-გახსნილი და მოცინარე დადის: თამბაქოს პლანტაციებშიც, სადაც დაუღალავად და უცნაური გულმოდგინებით სთოხნის, ტუნგოს ბაღებშიც, ახლად გაცნობილ ნაყოფს რომ ჰკრეფს. საკუთარ ოჯახშიც, სადაც მოსავლელი აქვს ოცდაათი ნორჩი მანდარინი, ოცდაათივე ოთხ-ოთხი წლისა. შვილებივით უვლის მათ, სიყვარულით, ალერსით, მზრუნველობით. ზამთრობით ნორჩ მერქანს თბილად შეფუთნავს, რომ არ შესცივდეთ. გაზაფხულობით კი, მზე რომ გამოჩნდება, შემოხსნის ამ შემონახვევებს და ცხოველმყოფელ სხივებს მიუშვებს, სითბოს აგრძნობინებს.

ქერა-თმიანი, ჭრელი მოძრავი თვალებით, მთელი გულით მოცინარი დასცქერის იგი მანდარინზე გამოსხმულ პირველ ყვავილებს და უხარია. წელს მისი მანდარინები პირველ ნაყოფს გამოისხამენ, ოქროსფერი ნარინჯებით აივსება ბაღი.

შუა დღე გადასულია. მზე შენობისა და ხეხილის ჩრდილებს აფენს ძირს. ოდნავი ნიავი ტოტებზე მარაოსავით დასხმულ ფოთლებს ერთმანეთს ასალბუნებს.

ახლად-აგებული ექვსთვალიანი ოდა ლამაზად ჩამჯდარა ამ სიმწვანეში. ოდის წინ აზორმოხტიბულ ეზოში ბავშვები თამაშობენ. ოთახიდან მოისმის პატეფონის ხმა. უკრავენ „იდავოი ნანას". ტკბილსა და სასიამოვნო სიმღერებს. მუსიკის საამო ხმები თითქოს ფოთლებზე მისრიალებდა, შრიალებდა და ნიავს მთებისაკენ მიჰქონდა.

სუფრა მორთო პურ-ღვინომ.

ტკბილმა სასმელმა გახსნა მადა.

ლალისფერმა იზაბელამ აავსო ჭიქები.

ღომში ჩახარშული სულგუნით ჩამოლაგდა თეფშები.

სუფრის შუაგულ გრძელ, ფართო სინზე გადაიჭიმა ლორი.

ცოტა ხნის შემდეგ სამზარეულოდან მახარობელივით მოვარდა ახლად გამომცხვარი ხაჭაპურის სურნელება. მერე თვითონაც გაჩნდა სუფრაზე ჰყინტი ყველისა და საგულისგულოდ დაფქვილი ხორბლისაგან შემზადებული.

სადღეგრძელოებმა ბედნიერება ისურვეს.

კრიალებდნენ ჭიქები ერთიმეორის ჯახუნში, იცლებოდნენ და ივსებოდნენ.

— დაუკარით ის, რაც ყველაზე ძლიერ გიყვართ!

კოლმეურნეობის მოწინავე ადამიანმა, შრომისა და მუსიკის მოყვარულმა, პატეფონის ფირფიტებს თვალიერება დაუწყო. ეძებდა თავის საყვარელ სიმღერას.

აი, იპოვა. მომართა. დატრიალდა ფირფიტა და გაისმა ალმტაცი სიმღერა:

„ჩემო სამშობლო, დღეს შენი ერი
გახახლებული ქართლის ერია,
ასე ძლიერად და ბედნიერად შენ
არასოდეს არ გიმღერია".

ბავშვები მოცინარე სახეებით აივნიდან დარბაზში, ოთახიდან ოთახში, დაცქრიალებდნენ. ყველა ოთახის კარი ფართოდ იღება, გულგახსნილი და გულღიაა მთელი ოჯახი.

ყველაფერი სუფთაა და ქათქათა.

ფანჯრებზე ჰკიდია ლამაზსახიანი ფარდები, იატაკზე ნაირფეროვანი ფარდაგებია დაფენილი.

ბელადების პორტრეტები ამშვენებენ კედლებს.

ოჯახში მყუდროებაა და სიხარული, ეზო-კარში სიხარულის მომგვრელი მშვენიერება.

საღამოვდება.

აივანზე გამოვედით. ჭიშკარს ორი ტანმსხვილი ძროხა მოადგა. კართან ჯერ ერთმა, მერე მეორემ დაიბღავლა. კარის გაღებას თხოულობენ. რძით სავსე ჯიქნები მოიტანეს.

— რძეს ხომ არა ჰყიდით ხოლმე?

მარომ გულკეთილი ღიმილით შემომხედა. მერე თავის გულნარას და შოთას გადაავლო თვალი.

— აი, ამათ გაზრდას სჭირდება!

სიჩუმე ჩამოვარდა. ძროხებს აბინავებდნენ.

— ეჰ, კარგი იყო, რომ ფაცხაც გენახა!—სინანულით სთქვა გიორგიმ, მერე ხელი ჩაიქნია და დააყოლა,—წავიდეთ.

მანქანამ კვლავ გაჰქროლა. სხვა გზით დავბრუნდით უკან. ვიდრე სოფლის შუაგულში შევიდოდით, გიორგიმ მანქანა შეაჩერა.

— აგერ, შეხედე, ფაცხის ნახევარი დარჩენილა.

ჩვენს პირდაპირ მიწაზე იდგა წნელით დაწნული, ისლ-გადაფარებული, პატარა უმინო ფანჯრიანი და ვიწრო კარიანი, ოდესღაც გლეხის საცხოვრებელი ფაცხა. მას ერთი მხარე მოგლეჯილი ჰქონდა. სახურავს ისლის ღეროები შემშრალი ცრემლებივით დაჰკიდებოდნენ. ფაცხა იშლებოდა, ირღვეოდა, ისპობოდა, როგორც წარსული ცხოვრების უკანასკნელი ნიშანწყალი. მის წნელს იყენებდენ სოფლის გარეთ კოლმეურნეობის მთლიანი ღობის შემოსავლებად.

ბუსკაის მწკალი

ლადო ბალიაური

საღამო ჟამს ხუთიოდე კაცი შეხვდა მუცუს ციხის კარზე. ციხე ობოლივით იდგა ნანგრევებს შორის, მაგრამ ზვიადი ამაყად გადაჰყურებდა ვიწრო ხეობას, სადაც აქაფებული მდინარე უზარმაზარი მცურავივით გაწოლილიყო და თითქოს ფიწალო კლდეებს სამდურავს ეუბნებაო — შხუოდა, ზუზუნებდა ტანდაფლეთილი.

ციხის კარზე მისულთ შორის ერთი ხევსური იყო, დანარჩენებს ჩაცმულობაზე ქალაქელობა ეტყობოდათ. ისინი მუშტრის თვალით უჭვრეტდნენ ყველაფერს. ერთ მათგანს, თეთრი ხალათი რომ ეცვა, წვეთი დაეცა მხარზე. უნებურად აიხედა ზევით. ცა მოწმენდილი იყო. საიდან ძომხვდაო წვეთი, გაიოცა. მაშინ ხევსურმა იდუმალად ჩაიცინა:

— ბუსკაის მწკალს თუ მასწყდ პოხილი: ნაწვიმარზე იცის, — უთხრა სტუმრებს და ციხის კედელზე მიკრულ ხელზე მიუთითა.

— ადამიანის ხელი! — წამოიძახა ერთმა ახალგაზრდამ გაოცებით.

— ას!..—იყო ხევსურის პასუხი.

— იქნებ იცი, ვისი ხელია?

— რაისად არ გეტყვით!—ხალიანად სთქვა ხევსურმა და ჩამოჯდა ციხის კარების ზღურბლზე. სტუმრები გარშემო შემოუსხდნენ და სმენად გადაქცეულებმა, შემდეგი ამბავი მოისმინეს:

ეს ამბავი დიდი ხნის წინად მოხდა. წყვდიადში იყო გახვეული მუცუ. ხახა-დაღებული ნაპრალები შეღმუოდნენ მშიერი ლომებივით. გორგიანთ გორგი იჯდა ციხისთავლზე და კერაზე დაყრდნობილ ფრანგულს ლესავდა გულიანად. პირდაპირ ეჯდა ახალზალი *) მეუღლით ხორა. ქალი გრძელ მოზნექილ წარბწამწამებ ქვეშ შვინდისფერ თვალებს ლულავდა. მოწყენილი იერი გადაჰკრავდა სახეზე.

— მაშ მიდიხარ, არ იშლი!—სთქვა ნაღვლიანად ხორამ. ფოლადივით ხმა ჰქონდა წკრიალა.

— დიახ! — უპასუხა გორგიმ, ხმლის ლესვას თავი მიანება და ფეხზე წამოდგა. უნდოდა მიახლოვებოდა მეუღლეს, მაგრამ იმ დროს ციხის კარზე ძაღლი აყეფდა. გამწარებული კბილით ეტაკა რკინის ჯაჭვს და შელმუვლა ციხეს: ასე ჰყეფდა, როდესაც უცხო სტუმარი ესტუმრებოდა გორგიანთ.

გორგი ციხის კარზე გადადგა: მოსული ლურჯა ცხენს ატოტავებდა ეზოში, ძაღლს დამამშვიდებელ სიტყვებს ეუბნებოდა ქისტურად. გორგიმ ერთი ნაბიჯით დაიწია უკან, კარების მახლობლად ბოძზე ნაკიდები ხირიმი გადმოიღო და დამიზნებისთანავე იკითხა ვინაობა,

— შენი სტუმარი ანდარუყოთ ბუსკაი ვარ, — იყო პასუხი.

მასპინძელს შუბლი გაეხსნა: სმენოდა ბუსკაის ვაჟკაცობა. საჩქაროდ ჩაირბინა ქვის კიბე, სტუმარს ცხენი სადავე დაუჭირა, ჩამოხედიო, სთხოვა.

სწრაფად ჩამოხტა ბუსკა, ცხენაბჯარი მასპინძელს გადასცა და სამყოფოსაკენ გაემართნენ.

ხორას ცეცხლი გაეჩაღებინა კერაზე. თავდახრილი იდგა სადიაცოს. ცეცხლის ალი სცემდა სახეზე. ლამაზი უფრო ლამაზად მოსჩანდა. მორცხვად მიესალმა ბუსკას, მაგრამ ხელები ცეცხლზე უფრო მწვავედ შეხვდნენ ერთმანეთს.

— ვალლაჰ! მამაცი ვაჟკაცი მოგიძებნია, მურლოთ ხორავ! — უთხრა ბუსკამ. თეთრი კბილები გაუელვა, მაგრამ შუბლი არ გაუხსნია, მხოლოდ თვალები თვალებს გაუსწორა. ქალის ხელს ხელი უფრო მაგრა მოუჭირა და სამამაცოს გადახდა.

ეტყობოდა, ბუსკა კარგად იცნობდა ხორას. ქალს ბუსკაის შესვლაზე სახე გაუფითრდა. ხმას არ იღებდა, თავდახრილი იდგა სტუმრის წინ. გონება ებნეოდა, ადგილიდან ვერ იძვროდა: თითქოს თვალებით დაგესლაო ბუსკამ. მეუღლის ხმამ გამოაფხიზლა იგი: გორგი, მშვიდობა—ამბავი ჰკითხა სტუმარს და დიაცს თვალით ანიშნა: დაგვტოვეო მარტოდ. ხორა მაღალი ტანის ნაზი რხევით გაემართა კარებისაკენ. გაალმასებული მზერა გააყოლა ბუსკამ. უფრო მეტად ფეხებზე დააშტერდა და იდუმალი გმინვა აღმოხდა.

გორგი მიუხვდა სტუმარს, უგემურად შეხედა, მაგრამ ცოლის სილამაზე ჩასთვალა მიზეზად და ესლა იკითხა: რისთვის მოხვედიო შუაღამისას.

— კარგი ვაჟკაცი გამიგონიხარ, გორგივ, შენი მოკეთეც ამ ციხესავით საიმედოა. მტერიც კი დაინდობა მუცუელთ ვაჟებს... უნდა შემინახოთ: კაცი შემომაკვდა ქისტეთში და აი თავი შენს ციხეს შემოვაფარე, თანაც საჩუქრად მამიჩემის ანდარუყოს ნაქონი დამბაჩა მოგიტანე: ნიშანი იყოს ძმობისა! — ქისტი ფეხზე წამოდგა და საჩუქარი გადასცა მასპინძელს.

გორგიმ დინჯად შეხედა ოქროთი მოვარაყებულ იარაღს. სისვი ფერი რომ უკრთოდა ლულაზე, ჩამოართვა ბუსკას და ძმად მიგულებდიო, — სთქვა.

ერთხანს სტუმარ - მასპინძლობის შესახებ ილაპარაკეს. შემდეგ ბუსკამ ცხენისათვის მოვლა მოინდომა. ჩვეულებისამებრ მასპინძელი წაჰყვა: ბაგაზე ნაბამი ლურჯა უჩვენა: ცვარნამ დაუცემი ლურჯი თივა ედვა წინ. სტუმარს გაეხარდა.

— ქების ღირსი ყოფილხარ, გორგი! — სთქვა მან.

ამ დროს ყმაწვილი შევიდა ბოსელში: მარგალიტივით ქერით სავსე თოფრა მისცა ცხენს. გახარებული ბუსკა იცინოდა, ლურჯას და ყმაწვილს საალერსო სიტყვებს ეუბნებოდა. მხიარულნი გაბრუნდნენ სამყოფოსაკენ. კარებში სამი წლის თეთრი ჭედილა დაახვედრა ქერა ჰაბუკმა, გორგის რომ ჩამოჰგავდა იერში.

— შენ პატივისცემა იყოს, შენ ფესზე მოსჭერ თავი! — მოხათრებით უთხრა მან ბუსკას.

ბუსკამ სიხარულით დაიკივლა, ჩაჩნური ხანჯარი იძრო, სწრაფად გამოსჭრა ყელი და სიამით გადაიხარხარა.

— ვალაჰ! კარგი მასპინძელი მოვნახე! — ჩაილაპარაკა მან თავისთვის და გორგის მიმართა: — სამი დღეა პური არ მიჭამია, საგძალი გამითავდა, მარილიან წყალს ვსვამდი, შენმა მზემ!

— პურმარილ იყვას ჩვენ შამნახავი, მაიპოვების!... —მიუგო გორგიმ და, სანამ ახალი ხორცი მოესწრობოდათ, ხორას მწვადის შეწვა დაავალა.

ხორამ არ დააყოვნა: წინა დღით გორგის მოკლული ჯიხვის ხორცი აიღო, სწრაფად აასხა შამფურზე და გახურებულ ქაქეშზე დააწყო. თანაც იდუმლად უჭვრეტდა სტუმრის ვაჟკაცურ იერს, ჭრელა ჩოხა და ვერცხლის ქამარ-ხანჯალი რომ უმშვენებდა კულასავით ტანს. მწვადის საამო სუნით იჟღინთებოდა ჰაერი. ბუსკას ნერწყვი მოადგა პირზე. მგლური შიმშილით უყურებდა ხორას და მწვადს. თავადვე კრთოდა იგი, — რად უმზერო ასე...

⁂

გორგი სტუმრის ჩათრით კიდეც ერთ დღეს დარჩა შინ: მუცუელთ სტუმრის დანდობა სთხოვა. ხორას დაავალა: სასმელ-საჭმელი არ მოაკლოო ბუსკას და ესეც უთხრა: გახსოვდესო გორგით გორგი. კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ვერ გაბედა. მხოლოდ ყინჩად გადაჰკოცნა ხორა და დიდხანს, დიდხანს აშტერდებოდა საყვარელ თვალებში. შემდეგ ჭაბუკები მოიხმო, ჩუმად რაღაცაზე ელაპარაკა და კახეთს წავიდა დასთან.

დიდი ხანი ვერ გასძლო გორგიმ ბარში. ნაჩქარევად დაბრუნდა მუცუს. ბინდს შეჰყვა სოფელში და ჯალაბის იდუმლად ხილვა მოიწადინა. ციხეს მარცხენა მხარეს ბაწარივით წვრილი ბილიკი ჩაუდის. ბილიკი მხოლოდ გორგიმ იცოდა. მუხლებით დაეკიდა ფიწალო კლდეს და ხელების ძალით ავიდა ციხის ლიბუმდე. ციხის ეზოში სიჩუმე იყო გამეფებული. ცხენები თუ დაიფრუტუნებდნენ. თუმცა ძაღლი გრძნობდა ადამიანის მიახლოვებას, მაგრამ ხმას არ იღებდა: პატრონს შეიგრძნობდა სუნით. გორგი ციხის კედელს ჩაჰყვა, სარკმლიდან შეიჭვრიტა სამყოფში. წუთით უძრავ იქნა. შემდეგ ელდა-ნაკრავივით დაიწია უკან და თავზარდაცემული ციხის კედელს მიეყრდნო. დიდხანს იდგა უძრავად, გული მძლავრად უცემდა, მუხლები უცივდებოდა. იქნება თვალებმა მომატყუაო, ჩაიფიქრა ბოლოს და კიდევ შეიჭვრიტა სარკმლიდან.

კერიის პირზე იჯდა სახე-გაბადრული, პირმოღიმარე, თმაგაშლილი ხორა. ტკბილად უღიმოდა სიყვარულით და არყით გახელებულ ბუსკას. ქისტი გვერდზე მისჯდომოდა, თმის ნაწნავებს უშლიდა, საკინძ-გახსნილ თეთრ მკერდზე ჰკოცნიდა. მალიმალ და ნეტარი სიტყვებით ახსენებდა ალახს. მაშინ გორგიმ ბუსკას ნაჩუქარი დამბაჩის ტყვია ამოიძრო უბის მასრიდან, კბილით დაღრღნა და ნიშნად ისროლა სარკმლიდან. თვითონ სწრაფი ნახტომი გააკეთა, ჩაჰყვა ბილიკს და სიბნელეში გადაიკარგა.

ტყვია მძიმედ დაეცა მიწაზე, გაგორებული ბუსკას ფეხის წინ შედგა. ქალ-ვაჟი შეკრთა. ბუსკა ფეხზე წამოხტა, ხოლო გაშტერებული ხორა ერთ ადგილს შერჩა და ათრთოლებული ხელებით შემოიკრიბა გადაღეღილ მკერდზე გაშლილი შავი თმა. ბუსკამ აიღო ტყვია, ხელში შეათამაშა და გულიანად დააკვირდა, გაიცინა, ხორას გადასცა და ნელის ხმით სთქვა:

— ვალაჰ! ტყვიას ტყვია მოჰყვება, შენმა მზემ!

ერთმანეთს შიშნეულად შეხედეს, და უსიამოვნო სიჩუმე ჩაწვა ციხეში.

⁂

გორგიმ განგებ დაიგვიანა: შუადღისას დაბრუნდა შინ. ბარის ამბები უამბო ციხის კარზე ნასხდომ ფეხონს. ბუსკასთან იხუმრა.

— იქნებ კარგად ვერ მოგიარეს? — იკითხა მან.

— ვალაჰ! მეტი მავლაც არ შეიძლება, შენმა მზემ! — ხალისიანად მიუგო ბუსკამ.

გორგიმ ხორას შეხედა და მხოლოდ ქვედა ბაგე აუთრთოლდა. თვითონ ხორას ფერი ეცვალა, მორცხვად გაეცლა სამყოფიდან და იდუმალად ვაუჭვრიტა სტუმარ-მასპინძელს: გორგი ბუსკას ებაასებოდა. ხორას წუხანდელი ამბავი გაახსენდა და გაეხარდა— ტყვია, ალბად, არ იყოო გორგის ნასროლი: გორგი ისევ ისე ტკბილად უღიმოდა ძმობილს, როგორც კახეთს წასვლის წინ. მჯობნის მჯობნიაო,— ჩაიფიქრა ხორამ, ოდნავ სინანული იგრძნო: მაჭმადიანის გულისთვის რად ჩავიდინეო უწესო. მაგრამ თავი ანუგეშა — თავად ბუსკა გახელდაო ჩემი სიყვარულით და ძმად ნაფიცებისათვის სადილის სამზადისს შეუდგა.

მთელი დღე ბუსკა და ხორა თვალყურს ადევნებდნენ გორგის: იქნება რამე გავიგოთ წუხანდელი ამბის შესახებ, მაგრამ გორგი არას იმჩნევდა. შუბლ-გახსნილი იყო — ხუმრობდა, ამბავს უამბობდა, თვალებით ეარშიყებოდა მეუღლეს. ხოლო დაწოლის ჟამს ლოგინთან მისულმა გორგიმ ხმალი მიიყოლა ხელით, ქარქაშიდან ამოიღო და შიშველი გვერდზე დაიწვინა. შემკრთალი ხორა დარჩა ხმლის იქით, ცივი რკინა მას ყუვით შეეხო. ქალს ოდნავ გმინვა ამოხდა — რაისად შვრებაო ნეტამც.

— იძინე! — უთხრა გორგიმ და ტყვია გაახსენა.

ხორა თრთოლამ აიტანა, ცრემლი ღვარა ჩუმად... არ დასძინებია არც ერთს. ქალს სვინდისი ჰქეჯნიდა, ბუსკას ხიფათისა ეშინოდა, ხოლო გორგის ბუსკას იდუმალი სახე ედგა თვალწინ. იწვნენ, მაგრამ ქვემსაგებელი ეკლად ეჩვენებოდათ.

⁂

დილით გორგის მუცუელები შეეგროვებინა ციხის კარზე. ეამბნა ყველაფერი და აი, მზის ამოსვლის დროს, თავად გორგი იდგა კრებულის შუაში. მის წინ მიწაზე იდო ორი შიშველი ხმალი. ხევსურებს დიდი წრე გაეკეთებინათ. სიჩუმე იყო გამეფებული.

— დაიწყეთ! — დაარღვია სიწყნარე ხალხის სათავეს საუფროსო სკამზე მჯდომმა ხევსურმა და გვერდით მდგომ ბუსკას მიმართა: აირჩიე ერთი ხმალი.

ქისტი ელვის სისწრაფით გადახტა წრეში, ჩოხის კალთები აიკვართა, თვალებამდი ჩამოფხატულ ქუდს აჰკრა ხელი, სამჯერ შეტრიალდა, გორგის ციხის წვერს შეხედა, ჩარდახში გადმოშლილ შავ თმას მოჰკრა თვალი და ღიმილი შეუთამაშდა სინისფერ სახეზე: მურლოთ ხორა უჭვრეტდა ციხიდან... დაიკივლა, დასწვდა ერთ ხმალს და სამი ნაბიჯით დაიწია უკან.

ამ დროს გორგი იღიმებოდა, მაგრამ სახეზე ლეგა იერი გადაჰკრავდა. არწივისებური ცხვირის წვერი უფითრდებოდა. მისი ხშირი თმა ნელნელა იწევდა მაღლა: თავად ესმოდა თმის ტკაცუნი. გორგის ჭრელი თვალები უწითლდებოდა, ბაგენი უთრთოდნენ, დინჯად აიღო მან ხმალი, ხელში მოზვერა, შეხედა ჯერ ხალხს, შემდეგ ბუსკას და წელში გაიმართა.

— დაიწყეთ! — კვლავ გაისმა მოხუცის ხმა.

წუთით მთელი მიდამო გატვრინდა, სუნთქვაც კი ესმოდათ. და უცებ ორმა ხმალმა ელვისებრ გაიკრიალა მზის სხივებში. ორ ვაჟკაცს ნელი გმინვა აღმოხდა, მაგრამ არც ერთი არ დაძრულა ადგილიდან. გორგის მოქნეულ რკინას რკინა შეაგება ბუსკამ და ფრანგული ფრანგულზე აძგრიალდა. სწრაფად მოზვერეს ერთმანეთი. კვლავ გაიელვეს ფრანგულებმა. ერთი მათგანი ელვადაკრულ მუხასავით დაბარბაცდა, ხოლო მეორეს ყურის თავს გაჰკრა ფრანგულმა ფხა, თმის ბეთქი გაშალა და მარჯვენა ხმლიანი ხელი გაიყოლა თან. ორი ვაჟკაცი დაეცა ძირს, ორმა ხარივით ვაჟკაცმა მოხაზა მიწა... მათი თვალები დაცემის ჟამს შეაშტერდნენ ციხის ჩარდახს: ჩარდახიდან წკრიალა კივილი გაისმა და ნელმა ნიავმა ქალის ხშირი თმა გაშალა იისფერ სივრცეში: ხორა ჩანთქეს უფსკრულში აქაფებულმა არღუნის ტალღებმა...

იმავე დღეს მუცუელებმა გვერდის გვერდ გათხარეს ორი საფლავი. ორი ვაჟკაცი მიაბარეს მიწას. ხელი კი... აგერ, ციხეს მიაკრეს: სტუმარმა უნდა ინახულოსო იგი, — დაამთავრა ამბავი ხევსურმა.

სტუმრები გაჩუმებულები იყვნენ. ერთი მათგანი წამოდგა. ფოტო-აპარატი დაუმიზნა ციხეზე შემხმარ ბუსკაის მწკალს და

— ვაჟკაცის მარჯვენა ყოფილა,—თქვა მან.

— დიალაც! — იყო ხევსურის პასუხი, გაოცებული რომ უჭვრეტდა აპარატს და ვერ მიმხვდარიყო—რა ეწადა სტუმარს.

---

*) პატარძალი.

ნინო ნაკაშიძის შემოქმედებითი გზა

დ. შამათავა

ოთხი ათეული წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც ნინო ნაკაშიძე ემსახურება ქართული ლიტერატურის განვითარების საქმეს. მრავალმხრივი და საინტერესოა მის მიერ განვლილი შემოქმედებითი გზა.

ნ. ნაკაშიძის შემოქმედების ძირითად თემას წარმოადგენდა გლეხობა, რევოლუციამდელი გურიის გალატაკებული სოფელი, მისი ჩამორჩენილობა, მაშინდელი არა ადამიანური ცხოვრება, უსამართლობა და ძალმომრეობა. ნ. ნაკაშიძე თემატიკით ქართულ ლიტერატურაში ნინოშვილის გზას გაჰყვა. მან დაგვიხატა ახალი პერიოდი ჩვენი ცხოვრებისა, რადგან მისი სამწერლო მოღვაწეობის ადრინდელი წლები დაკავშირებული იყო 1905 წლის რევოლუციის მნიშვნელოვან თარიღთან.

1902 წელს „კვალის“ ნომრებში გამოქვეყნდა ნ. ნაკაშიძის პირველი ნაწარმოები. მწერალი მოწმე იყო დიდი რევოლუციური აღფრთოვანებისა. 1902 წლის მარტში ბათუმის სოციალ-დემოკრატიული პარტიის კომიტეტმა მოაწყო ბათუმის მუშების დიდი გაფიცვები და დემონსტრაციები. ბათუმის დემონსტრაციამ აამოძრავა ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა მასები. ეს ფრიად მნიშვნელოვანი პერიოდი ჩვენი ცხოვრებისა მთელის სისრულით ნ. ნაკაშიძის შემოქმედებამ ვერ ასახა, მაგრამ იგი მაინც შეეცადა გამოხმაურებოდა ამ დიდ სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენებს. ამ მხრივ აღსანიშნავია მოთხრობა „სალდათი“.

ამ ნაწარმოებში მწერალი მკვეთრად ახასიათებს მუშის მძიმე ცხოვრებას კაპიტალისტური საზოგადოების პირობებში. ქალაქის ღარიბ მუშათა უბანში, სადაც არც ხე, არც ბუჩქი არა ხარობდა, აყუდებული იყვნენ ვეება ნაცრისფერი ნავთის საწყობები. ამ ფონზე უბადრუკად გამოიყურებოდნენ მუშათა ფიცრული სადგომები. ამ შევიწროებულ მდგომარეობაში მყოფი მუშათა დიდი ნაწილი თვითმპყრობელობის მკაცრი რეპრესიების მიუხედავად ორგანიზებულად იბრძოდა მეფის მთავრობის წინააღმდეგ. მოთხრობის ფინალი აღწერს მუშათა დემონსტრაციის დახვრეტას, მაგრამ გაკაჟებული მებრძოლი მუშები ვერ შეაჩერეს რეაქციის მსუსხავმა წლებმა. მუშები ახალი ბრძოლისათვის ირაზმებოდნენ. ამრიგად ქალაქში გროვდებოდა ახალი თვალსაჩინო ძალა, ღვივდებოდა სოციალური წინააღმდეგობანი და მკვეთრად ისახებოდა ბრძოლა შრომასა და კაპიტალს შორის.

ამავე პერიოდს ეხება მოთხრობა „ნავთის სამეფოში“. მასში აღწერილია უმუშევრობა, შიმშილი, საშინელი გაჭირვება, მაგრამ გაჩეჩებული, გულხელდაკრეფილი როდი არიან მუშები, ისინი იბრძვიან არსებული წყობილების, კაპიტალიზმის წინააღმდეგ. ეს ბრძოლა ნ. ნაკაშიძეს გაკვრით აქვს გადმოცემული მოთხრობაში „საახალწლო სურათი“.

ღარიბი ოჯახი, რომელსაც „კალანდისთვის“ ტრადიციული ღორისთავიც კი არ გააჩნდა, მოულოდნელად გაახარა უფროსი ვაჟის, როტშილდის ქარხნის მუშის ილიას დაბრუნებამ. მაგრამ ბედნიერება ხანმოკლე აღმოჩნდა; განთიადზე, როდესაც სოფელი თოფის სროლით ხვდებოდა ახალ წელს, ეგნატეს ოჯახს თავს დაატყდა პოლიცია და ილია დააპატიმრეს, როგორც „ბუნტოვშჩიკი“ და მეფის მთავრობის მოძულე. ახალგაზრდა მუშა გაბედულად აცხადებს: „მე ვარ მუშა ილია საბახტარიშვილი! ეხლავ წამოვალ, ვიცვამ, არ მეშინია მე თქვენი ნობახის“...

1905 წელს „სახალხო გაზეთის“ რედაქციამ მწერალი გურიაში გაგზავნა სპეციალურ კორესპონდენტად. ნ. ნაკაშიძემ გურიაში 1906 წლის ნოემბრის გასვლამდის დაჰყო. იგი მოწმე იყო როგორც რევოლუციური აღმავლობის, ისე შავი რეაქციის მძვინვარებისა გურიის სოფლებში.

ამ პერიოდში დაწერილ მოთხრობებიდან აღსანიშნავია „მოვალეობა“. ამ ნაწარმოებში სწორად არის გამოხატული ის სულისკვეთება, რომელიც მაშინ ფართოდ მოედო რევოლუციურად აგზნებულ გლეხობას.

რეაქციის პერიოდში დამსჯელი რაზმების თარეშს გადმოგვცემს მოთხრობა „გურიის სოფელში“. მწერალი შემაძრწუნებელ სურათებს გვიხატავს იმისას, თუ როგორ უსწორდებოდა მეფის ჯარი აჯანყებულ გლეხობას. ეკზეკუციამ, დამსჯელი რაზმის მიერ მოწყობილმა დარბევამ სულ ერთიანად ჩაამწარა სოფელს „კალანდობა“. ქვევრებში ღვინო არ დაუყენეს და ხეზე ქათამი. მიჰქონდათ ყველაფერი იმ დრომდე, სანამ შვიდასი მანეთი ჯარიმა არ ჩააბარა სოფელმა.

დამსჯელი რაზმების ავხორცობასა და გახრწნილებას ხაზს უსვამს მწერალი მოთხრობაში „საახალწლო სურათი“.

მოთხრობაში „ასპიროზის დახვრეტა“ ნ. ნაკაშიძე გაბედულად ამხელს დამსჯელი რაზმების სიმხეცესა და გონებრივ უბადრუკობას მათი ხელმძღვანელებისას, რომელთაც ვარსკვლავი რევოლუციონერთა სანიშნო შუქურად მოეჩვენათ და „დახვრიტეს“ კიდეც. მწერალი გაბედულად ჰკიცხავს უდანაშაულო გლეხობის აწიოკებას, მეფის ჯარისკაცთა ძალადობას, მოხელეთა წრეგადასულ ველურობას. მოთხრობა დაიწერა 1909 წელს, რეაქციის მძვინვარების პერიოდში. ეს იყო გაბედული საბრალმდებლო სიტყვა თვითმპყრობელობის საშინელი რეპრესიების წინააღმდეგ.

ნ. ნაკაშიძის მოთხრობებში ხაზგასმულია გალატაკებული გლეხობის მასობრივი ლტოლვა ქალაქისაკენ. ეს პროცესი თითქმის ყველა მის ნაწარმოებშია აღნიშნული. მწერლის ცნობილ პიესაში „ვინ არის დამნაშავე“ ეს გარემოება დამახასიათებლადაა გადმოცემული. ავტორი ლამაზად გვიხატავს გურიის სოფელს, მის სიხარულსა და მწუხარებას, სადამოობით კალოებზე სიმინდის სარჩევად თავმოყრილ გოგო-ბიჭების ნადს, მხიარულ ცეკვა-თამაშს, ქალ-ვაჟთა უმწიკვლო სიყვარულს, საუკუნეებით ნაანდერძევ ზნე-ჩვეულებებს. სიღატაკე აიძულებდა ამ მხარის ყმაწვილკაცებს, შორეულ უცხოეთში გადახვეწილიყვნენ მოჯირითეებად და ბედის ანაბარა დაეტოვებინათ ლამაზი ცოლები.

„ვინ არის დამნაშავე“ ოსტატურად დაწერილი პიესაა. გურული კოლორიტის ზუსტი დაცვით, შერჩეული, დამახასიათებელი დეტალებით გვიხატავს ავტორი მაშინდელი გლეხობის მძიმე და აუტანელ ყოფას, რაც აიძულებდა მას მოშორებოდა მშობლიურ მხარეს და უცხო მხარეში გადაკარგულიყო ორიოდე გროშის საშოვრად. პიესა თავიდან ბოლომდე საინტერესოდ ვითარდება. მოხდენილად მიჰყავს ავტორს ინტრიგა. დაკვირვებული თვალით არის გადმოცემული ხასიათები და მოვლენები.

მოთხრობაში „ძიძა“ მწერალი ქალაქის ყოფა-ცხოვრების დახატვის დროს ააშკარავებს არისტოკრატიის გარყვნასა და გადაგვარებას.

ამავე პერიოდში ნ. ნაკაშიძის შემოქმედებაში თავი იჩინა იმპერიალისტური ომის უარყოფის და დაგმობის ტენდენციამ. ასეთია მოთხრობა „დედა“. ნაწარმოებში მწერალი ეწინააღმდეგება იმპერიალისტური ომის ყოველგვარ იდეალიზაციას და ნამდვილი რეალისტური სიცხადით გვიხატავს ომის საშინელ სურათებს, ომის ნამდვილ მხეცურ ბუნებას.

ეს ტენდენცია მოდის დიდი რუსი მწერლის ლ. ნ. ტოლსტოიდან. საერთო გავლენა ტოლსტოის მოძღვრებისა აშკარად იგრძნობა ნ. ნაკაშიძის შემოქმედებაში. ამას შეიძლება პირადმა ნაცნობობამაც შეუწყო ხელი. 1894 წელს ნ. ნაკაშიძე (ანთაძე) ცოლად გაჰყვა ცნობილ ქართველ მოღვაწეს, ტოლსტოის მიმდევარს ილია პეტრეს-ძე ნაკაშიძეს (1866 — 1923). რამდენიმე წელს ისინი მოსკოვში ცხოვრობდნენ და კარგად იცნობდნენ დიდ მწერალს. სამშობლოში დაბრუნების შემდეგაც ილია ნაკაშიძეს მიწერ-მოწერა ჰქონდა მასთან. ერთ-ერთ წერილში ტოლსტოი ილია ნაკაშიძეს სწერდა: „თქვენს მეუღლეს, ნინო იოსების ასულს, გადაეცით ჩემი გულითადი სიმპატია. რა კარგი იქნება, თუ მას ხანგრძლივ მშვიდობიანად აცხოვრებენ მშვენიერ სამშობლოში თქვენთან ერთად“. ტოლსტოის მოძღვრების ახლო გაცნობას და პირად მეგობრობას შესაფერი გავლენაც მოჰყვა. ნ. ნაკაშიძის შემოქმედებაში ეს გავლენა უთუოდ იგრძნობა.

ნ. ნაკაშიძის დამსახურება სხვა მიმართულებითაც უნდა აღინიშნოს. 1910 წელს მარიამ დემურიას გარდაცვალების შემდეგ, იგი სათავეში ჩაუდგა და მრავალი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ჟურნალ „ნაკადულისა“ და ქართული საბავშვო წიგნის გამოცემის მძიმე საქმეს.

ნ. ნაკაშიძემ, როგორც დრამატურგმა თვალსაჩინო წვლილი შეიტანა ჩვენს დრამატიულ მწერლობაში. მისი პიესები: „ვინ არის დამნაშავე“, „კაცის სამართალი“, „ჯადოსანი წყვილა“, „კოტეს დანაშაული“ და სხვა მრავალი წლის განმავლობაში ამშვენებდნენ ქართულ თეატრის რეპერტუარს.

საინტერესოა ნ. ნაკაშიძე, როგორც საბავშვო მწერალი. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი „ბავშვმა ამხილა“, „წყალპეპელა“, „მათია და ნიკო“, „ორი დედოფალა“, „ადამის შვილი“ და სხვა.

ნ. ნაკაშიძემ თავის ხანგრძლივ მოღვაწეობის მანძილზე ჩაატარა საკმაოდ მრავალფეროვანი სამწერლო-საზოგადოებრივი საქმიანობა, რომელიც მას ქართულ ლიტერატურაში აკუთვნებს შესამჩნევ ადგილს, როგორც ნიჭიერ მწერალ ქალს.



მწერალთა მუზეუმის ახალი შენობა.

დომენტი თომაშვილის პოეზია

მიხეილ ალავიძე

დომენტი თომაშვილს თვალსაჩინო დამსახურება მიუძღვის ქართული ლიტერატურის წინაშე. სამწუხაროდ, ამ ნიჭიერი მხცოვანი პოეტის საინტერესო და შინაარსიანი შემოქმედებითი გზა ფართოდ არ არის ცნობილი თანამედროვე საზოგადოებისათვის. ამის უპირველეს მიზეზს წარმოადგენს ის, რომ დღემდე ვერ მოხერხდა ჟურნალ-გაზეთებში გაფანტული მისი ნაწერების ერთად თავმოყრა და დაბეჭდვა.

ცნობილი ქართველი პოეტი და მკვლევარი იოსებ გრიშაშვილი 1928 წელს ამის შესახებ კერძოდ უთვლიდა ჩვენს პოეტს: „ჩვენი შეხვედრა და განშორება უცაბედი იყო— მგრძნობიარე და ანაზდეული. ბევრის თქმა ვერ მოვასწარით. დაპირებისამებრ ველი თქვენს რჩეულ ლექსებს, ასე ოცდაათამდე და თქვენს ავტობიოგრაფიას (სრულს).

მე მინდა, გამოვცე ისეთივე პატარა წიგნაკი, როგორიც სოლო გოშაძის ლექსთა კრებული იყო. სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ თქვენს ნიჭს და დიდ სახელს არ შეჰფერის პატარა კრებული, მაგრამ ეს იქნება ერთგვარი ხელწაკვრა, ერთგვარი წკიპურტი იმ დაწესებულების მიმართ, რომელიც ლიტერატურაზე ფიქრობს“.

სხვადასხვა მიზეზის გამო, დ. თომაშვილმა დაპირება ვერ შეუსრულა ი. გრიშაშვილს.

1935 წელს კი ი. გრიშაშვილი დ. თომაშვილის ნაწარმოებთა გამოცემის აუცილებელი საჭიროების შესახებ სწერდა: „ვის არ გაუგონია ჩვენი საყვარელი პოეტის დ. თომაშვილის სახელი? ვინ არ დამტკბარა მისი წმინდა ქართულით დაწერილი ლექსებით? ეს მხცოვანი პოეტი თითქმის ნახევარი საუკუნეა, რაც მოღვაწეობს და აქამდე ერთი კრებულიც არა აქვს დაბეჭდილი“.

დ. თომაშვილი მართლაც საინტერესო და მნიშვნელოვანი მწერალია. მან ლექსებისა და პატარ-პატარა სტატიების წერა ადრე დაიწყო და, როგორც ნიჭიერმა მგოსანმა, ადრევე მიიპყრო საზოგადოების ყურადღება.

1896 წელს ჟურ. „კვალში“ პირველად დაიბეჭდა მისი წერილი „გაბრიელ ეპისკოპოსის კამათი სვანებთან“, ხოლო ამავე წელს ჟურ. „ჯეჯილში“—ლექსი „მატლს“. ამის შემდეგ იგი ამ ჟურნალებში და სხვა პერიოდულ გამოცემებში („ნაკადული“, „ცნობის ფურცელი“, „ივერია“, „ახალი დროება“, „ისარი“, „სახალხო გაზეთი“, „ამირანი“, „მეგობარი“, „კოლხიდა“, „იმერეთი“, „განათლება“) სისტემატურად ბეჭდავდა როგორც ორიგინალურ, ისე ნათარგმნ და გადმოკეთებულ ლექსებს.

დ. თომაშვილის შემოქმედება მდიდარი და მრავალფეროვანია. პოეტს, ლექსებს გარდა, აქვს ბელეტრისტული ნაწარმოებები და საზოგადოებრივი და პედაგოგიური საკითხების ირგვლივ დაწერილი პუბლიცისტური წერილები. შეგროვებული აქვს აგრეთვე ხალხური შემოქმედებითი ნიმუშები.

დ. თომაშვილი უმთავრესად ლექსებს სწერდა და როგორც პოეტი იგი თვალსაჩინო ფიგურაა.

დ. თომაშვილის პოეზია გაიფურჩქნა რთულ საზოგადოებრივ პირობებში. ეს იყო მძაფრი კლასობრივი ბრძოლის ხანა, რევოლუციური ძალების დარაზმვის ეპოქა. ჩვენი პოეტი განზე არ გასდგომია ამ დიდ მოვლენებს. ხელოვნებისა და, კერძოდ, პოეზიის საპატიო ფუნქციად მიაჩნდა მას საზოგადოებისათვის სასარგებლო სამსახური.

ამის გამო, „არა მარტო ტკბილ ხმათათვის“ მომღერალი პოეტი თავის კალამს უძღვნის მშრომელ ხალხს. მისი პოეზია, რომელიც ამ სოციალური ფენის ჭირ-ვარამს ასახავდა, გამსჭვალული იყო უკეთესი მომავლის იმედით:

„თვალწინ გვეხატვის მყობადი,
მისკენ ჰქრის ჩვენი გონება,
იქ ვეძებთ სულის სიმშვიდეს,
სხვა არა გვინდა ქონება“.

დ. თომაშვილი თავიდანვე ბეჯითი და ენერგიული მუშაობით პოპულარული შეიქმნა. მასში ხედავდნენ ქართული პოეზიის საიმედო ძალას.

აი, რას სწერდა ნიჭიერი პროზაიკოსი და „კვალის“ რედაქტორი გიორგი წერეთელი 1898 წელს კერძო ბარათში დამწყებ მწერალს: „შენი ფელეტონი და ლექსები მივიღეთ, ძალიან გვესიამოვნა ლექსებმაც და ფელეტონმაც. ეს სტატიები დაიბეჭდება „კვალში“, გეტყობათ კალამი სამწერლოდ შეგიმუშავებიათ, ეცადეთ შემდეგშიაც ნიჭიერად სწეროთ“. სახელგანთქმული „აკაკი ახალგაზრდა პოეტებში ყველაზედ უფრო თომაშვილს აფასებდა“ (დ. ფალავა).

დ. თომაშვილი ახლო იდგა ხალხთან. მისი „გული, სარკედ ქცეული“, მოგვითხრობდა იმ დროის ქვეყნად გამეფებული უსამართლობისა და მშრომელთა მძიმე მდგომარეობის შესახებ.

დ. თომაშვილი ხედავდა „სოფელს, ორნაირად გაყოფილს“, ხედავდა იმდროინდელ უსამართლობას. პოეტი უარჰყოფდა „ამგვარ წესს, კაცთაგან დაკანონებულს“ და ელოდა მზის ამოსვლას ნათელის მოსაფენად, ტანჯულთა საკეთილდღეოდ:

„უცრემლით დამშეულს
არ [illegible] გული,
[illegible]
ცრემლი მოჰბანე,
აღაფრთოვანე
ღონემიხდილი სუსტი, ტვირთმძიმე!“

პოეტს უნდოდა, რომ შეერთებულიყვნენ უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლი მასები, რათა ერთიანი ძალით მოესპოთ მტერი:

„ჰე ნაპერწკალნო,
ძვირფასნო თვალნო,
შეთანხმ-შეზავდით, ჰქმენთ ნაკვერცხალი;

ნაკურთხი ზეცით,
ერს სითბო ეცით,
ცამდე აღაგზნეთ ღვთიური ალი,
შემუსრეთ გველი,
თვალსაზარელი,
ვარიდან ჭრელი!“

1905 წლის რევოლუციამ დ. თომაშვილის შემოქმედებაზე დიდი გავლენა მოახდინა. პოეტი აღტაცებით შეეგება მუშათა მოძრაობას.

„ძირს ჯალათები, ქურუმთ ტაძარი,
ძირს მტარვალობა გულშემზარი!
გრგვინავს სიმართლე და შავბნელ ძალებს
დასცა მრისხანე ძრწოლა და ზარი“.

1906 წელს პირველი რევოლუციის წლისთავის გამო დაწერილ ლექსში („9 იანვარი“) მომავლის შემყურე და სიმართლის გამარჯვებით დარწმუნებული პოეტი რევოლუციის შვილებს—თავისუფლების მსხვერპლებს—უძღვნის იმედით აღსავსე სტრიქონებს:

„ახლოა ის დრო, როს თქვენ საფლავზე
ხმა სანეტარო გაისმის შვებით
და დაწყებული თქვენს მიერ საქმე
დაგვირგვინდება სრულ გამარჯვებით...“

განვლო დრომ. დიდი მომავალი, რომლისკენაც პოეტი მიისწრაფოდა, აწმყოდ იქცა, ოცნება—სინამდვილედ—მშრომელებმა საკუთარი მკერდით მოიტანეს თავისუფლება. ეს იყო დიდი ოქტომბერი, მუშათა კლასის შემოქმედება, საკაცობრიო განთიადი.

პოეტმა იხილა ქვეყნის აღორძინება. განახლებული ყოფით აღფრთოვანებულმა სთქვა გულწრფელი სიტყვა:

„დღეს გამიცოცხლდა მე ჩემი გული,
როცა ჭაღარამ დამფარა უკვე“.

დ. თომაშვილი ეხმაურება და ღრმად განიცდის ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მოვლენას.

სოციალისტური სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარული, მისი უძლეველობის რწმენა, საბჭოთა პატრიოტიზმის ინტერნაციონალური სული, ხალხთა შორის მეგობრული კავშირი, ხალისიანი და იმედიანი ცხოვრება,—აი ყოველივე ის, რითაც გამთბარია თომაშვილის პოეზია.

დ. თომაშვილმა გაამდიდრა ქართული პოეზიის საგანძური და დაიმსახურა მშრომელი ხალხის საყვარელი პოეტის სახელი.

ამიტომ სავსებით დროულია და აუცილებელი ჩვენი მხცოვანი პოეტის რჩეული ნაწერების გამოცემა. ამ მიმართულებით მუშაობა მხოლოდ ახლა დაიწყო. პოეტის რჩეული ლექსები შეკრებილია და იბეჭდება. მას სცემს „ფედერაცია“.

ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია აგრეთვე, მოეწყოს დ. თომაშვილის პოეტური მოღვაწეობის 45 წლისთავის აღსანიშნავი იუბილე.

ეს იქნება პოეტის ღირსეული დაფასება ნახევარი საუკუნის მანძილზე წარმოებული განუწყვეტელი და ნაყოფიერი მუშაობისათვის.

გიორგი ლეონიძე

დიმიტრი ბენაშვილი

სიმღერა მხოლოდ იქ იმღერება,
სადაც ფრიალებს სტალინის დროშა.
გ. ლეონიძე

არიან პოეტები, რომელთა შემოქმედების შეფასების დროს კრიტიკას უძნელდება განსაზღვრული კრიტერიუმის მოძებნა, კრიტერიუმის, რომელიც დაახლოვებით მაინც იქნებოდა გამომხატველი მათი მხატვრული ბუნებისა. იმის გამო, რომ ზემოთდასახელებული კატეგორიის პოეტები არ მიჰყვებიან სხვების მიერ გათელილ გზას და იმავე დროს ისინი არ არიან თანმიმდევარნი თავიანთ შემოქმედებაში, კრიტიკას უჭირს იმ ლოგიკური კავშირის აღდგენა, რომელიც არსებობს ემოციურ სამყაროსა და პოეტურ მსოფლმხედველობას შორის. ამრიგად, კრიტიკისათვის მიუწვდომელი რჩება პოეტის სული. ჩვენი აზრით, ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ზოგჯერ საზოგადოებაში სახელმოხვეჭილი პოეტი სრულიად დაუფასებელია კრიტიკის მიერ, მაშინ, როდესაც იმავე საზოგადოებაში სახელგატეხილი პოეტის ყოველი ფრაზა კრიტიკული აზროვნების ყურადღების ცენტრშია მოქცეული.

ამ სტრიქონების წერის დროს მხედველობაში გვყავს ჩვენი დროის ერთი უშესანიშნავესი პოეტი **გიორგი ლეონიძე**. თუ ლეონიძეს ბედი სწყალობდა პოეზიაში, სამაგიეროდ მას ბედი არა წყალობდა კრიტიკაში. დღემდე არ მოგვეპოვება ამ პოეტის ნაწარმოებთა საფუძვლიანი განხილვა. ორიოდე ფრაგმენტალური ხასიათის წერილი არსებობს მხოლოდ. სამწუხაროდ, ამ წერილების ზოგიერთი ავტორი ხელაღებით უარჰყოფს ლეონიძის მიერ გავლილ მდიდარ შემოქმედებით გზას, რომლითაც ჩვენს დრომდე მოვიდა პოეტი. ასეთი უარყოფა ხელს უშლის მკითხველს პოეტის მთლიანი სახის შემეცნებასა და გაგებაში. ჩვენი წერილის მიზანს არ შეადგენს ამ ხარვეზის ამოვსება. ჩვენ გვინდა გიორგი ლეონიძის პოეტური სახის ზოგიერთი დამახასიათებელი კონტურების მონახვა.

გიორგი ლეონიძე სამწერლო ასპარეზზე სწორედ იმ დროს გამოვიდა, როდესაც ქართული პოეზიის საკმაოდ ნიჭიერი წარმომადგენელნი ასცდნენ კლასიკური ლიტერატურის ჭეშმარიტ გზას და თავიანთი სიმღერის საგნად გაიხადეს ლოთი კინტოს, ჩასპანდი ყარაჩოღელისა და დარდიმანდი მიკიტნის შინაარს მოკლებული ცხოვრება. მაღალი მიზნები და დიდი იდეები ქართველი ხალხისა მათ დავიწყებას მისცეს. გიორგი ლეონიძე არა მარტო გაემიჯნა ბოჰემის პოეტებს, არამედ კლასიკური პოეზიის სიყვარულით ბრძოლა გამოუცხადა უგემოვნო დეკადანსს:

„აქ ადიდებდნენ დამპალ კინტოს,
თათრულ მუხამბაზს,
აბანოს წვირს, შუა ბაზრის
კორიანტელსა,
გაბერილ შარვალს, ყარაჩოღელს...
(გასამხელია?).
აქ ივიწყებდნენ ფიროსმანის მზიან
მუშამბას,
ბექა ოპიზარს, ოსტატობის წმინდა
ანდერძსა
აქ ივიწყებდნენ ძველ პოეტებს ოქროს
ყელსაც,
ვხედავ მათ ნათელს, შარავანდედს
სცვივა ფანტელი,
ათი ათასი მთაწმინდაზე ბრწყინავს
სანთელი,
თავს დაგნათიან სატახტოო, დიდო
უკვდავო,
რომ მათმა სხივმა სამუდამოდ
გაგასუფთაოს“.

გიორგი ლეონიძისათვის ეს არ იყო მშრალი, პოეტური დეკლარაცია. არა. აქ ჩანს კლასიკური პოეზიის ჭეშმარიტი სიყვარული, აქ ისმის მისი ზარიანი ქროლვა. ეს სიყვარული საძირკველია ლეონიძის პოეზიისა.

უახლოესი წლების ქართულ ლიტერატურაში გიორგი ლეონიძე ჩამოყალიბდა როგორც უაღრესად ნაციონალური პოეტი. მისი სიტყვიერი მასალა, პოეტური სახეები, ინტიმური ქსოვილები ადამიანის სულისა, გეოგრაფიული სახელები და ფსიქოლოგიური ცნებები დაკავშირებულია ქართველი ხალხის ყოფასთან. აქ არის მისი ნიადაგი, ამ ნიადაგით ცოცხლობს მისი პოეზიის ფესვები.

„მშობელ მიწაში მიდგას ფესვები
როგორც წყალში სდგას წნორის ძირები
სიცოცხლეს ვერვინ დამიხსნის
თუ სამშობლოდან გავიწირები“.

პოეტი ზოგჯერ უკან, შორეულ წარსულისაკენ იხედება, მაგრამ ეს არ არის უკან დახევა. ლეონიძე უკან იხედება იმიტომ, რომ წინსვლა შესძლოს. ლეონიძის ლექსებში წინაპართა აჩრდილების გამოწვევა ხდება არა იმიტომ, რომ მკვდარ თაობათა ტრადიცია ცოცხალ თავებზე გაბატონდეს. არა. პოეტს ამით სურს გვითხრას, თუ რამდენი სისხლი და ცრემლი დაიღვარა ცხოვრების უკუღმართ გზაზე, ვიდრე ჩვენ შევქმნიდით დიდი **სტალინის** გენიით შთაგონებულ სოციალიზმის უძლეველ ქვეყანას.

გიორგი ლეონიძეს არა მარტო უყვარს საკუთარი ქვეყნის წარსული, არამედ იგი კარგად იცნობს ამ წარსულის ყოველ დეტალს. იგი არა ჰგავს ზოგიერთ პოეტს, რომელსაც ელემენტარული წარმოდგენა არა აქვს თავისი ქვეყნის წარსულზე.

წინაპართა აჩრდილებზე დაწერილ ლექსებიდან ყურადღებას იქცევს ლექსი „სულხან-საბას“. ამ ლექსში ცოცხალი პოეტური ფერებით გაცოცხლებულია სიბრძნითა და ხანდაზმულობით გატეხილი სახე მოხუცი საბა ორბელიანისა. ქართული გენიის ეს უკეთილშობილესი წარმომადგენელი ჩვენი ხალხის ისტორიაში მოსჩანს როგორც სიბრძნისა და ნებისყოფის ორგანიული შეერთება. სულხან-საბა ორბელიანი ქართული სიტყვის ოსტატების თემად მხოლოდ მეოცე საუკუნეში გახდა. გიორგი ლეონიძე პირველი პოეტია, რომელმაც ასე ორგანიულად მოახერხა გამოლაპარაკება ამ დიდი წინაპრის აჩრდილთან. პოეტი საბა ორბელიანს ხატავს არა როგორც პორტრეტისტი, არამედ როგორც შემოქმედი. ლეონიძის სიმღერაში არ ისმის ოდური კილო, კილო, რომელიც ჰკლავს ნამდვილ შემოქმედებას. აქ ისმის საუკუნეების გრძელ მანძილზე გაწვდილი ხმა. ეს ხმა ძლიერია, როგორც დარიალის და არაგვის ხეობაში ამტყდარი ქარი:

„დიდო მოხუცო, სამშობლოსათვის
იბრძოდი სულის ამოხდომამდი;
გეჩვენებოდა, რომ საქართველო
იძირებოდა, როგორც ხომალდი.
და როს ღრუბელი გულს [illegible],
სამშობლოს ცაზე გამოხლართული,
შენ სამკურნალო ბალახებივით
მოგიკრეფია სიტყვა ქართული,
რომ იავარქმნილ სამშობლოს ნაშთად
სიტყვები მაინც გადაგვერჩინა;
ვარდსა და თაფლსაც და პურის
მადლსაც
მშობლიურ სიტყვის მადლი გერჩივნა“.

ხანდისხან ლეონიძის ლექსებში ჰქრის მელანქოლია, მაგრამ ეს სევდა ქოლერული როდია. ეს რაღაც ვაჟკაცური გმინვაა წინაპართა ნატკენი გულისა. ეს მოტივი განსაკუთრებით ძლიერია ლექსში „ქართლის ცხოვრება“. პოეტი გულმოდგინედ ფურცლავს ქართველი ხალხის ამ [illegible] მატიანეს. აქ ყოველ ფურცელში ისმის ხმლის წკრიალი და ბექთარების ჩახა-ჩუხი. აქვე ისმის ტირილი ქართველი ქალისა ბრძოლაში დაღუპულ ვაჟკაცის პატივსაცემად. „ქართლის ცხოვრება“ მოგვითხრობს [illegible] სოფლებზე, გადამწვარ ქვეყანაზე, დიდებულ ვაჟკაცებზე, რომლებიც პირიმზეს ლოცულობდნენ და ერთმანეთს ხანჯალსა და ძმობას აფიცებდნენ. აი, ამ დაღუპულთა მოგონება ჰქმნის პოეტის მელანქოლიას. მაგრამ როგორც ზემოდ განვაცხადეთ, ეს არ არის ქოლერული სევდა, იგი უფრო ვაჟკაცურია.

წინაპართა აჩრდილებიდან გიორგი ლეონიძისათვის, ისევე, როგორც ყოველი ქართველისათვის, ყველაზე საამაყო სახელს შოთა რუსთაველი წარმოადგენს. ეს სახელი ჩვენი კაცობის, ქართული სიტყვისა და გონების საძირკველია. ლეონიძის ლექსი („ვეფხის-ტყაოსანს“) ერთი უბრწყინვალესი ლექსია შოთა რუსთაველის გენიის შესახებ დაწერილ ლექსთა შორის, არა მარტო ჩვენს დროში, არამედ საერთოდ ქართული ლიტერატურის ისტორიაში. შინაგანი მხატვრული ჟრჟოლა, რომელსაც მკითხველში მხოლოდ ჭეშმარიტი პოეზია იწვევს, ლეონიძის პოეზიის დამახასიათებელი თვისებაა, განსაკუთრებით კი ამ ლექსისა. აქ არ არის თვალთმაქცობა, რომელსაც ზოგიერთი გაჭირვებული პოეტი მიმართავს, რათა დაფაროს შინაგანი სიღატაკე ლექსისა. აქ არ არის ნოვატორობა და ძიება, სადაც გრძნობა და აზრი გამომგონებლობის არტახებში იტანჯება. აქ არ არის შინაარსისაგან დაცლილი ფრაზების ხელოვნური გათამაშება, სადაც ჭეშმარიტ პოეზიას ერთი ღამეც არ შემოსთენებია. ლეონიძის ლექსში, სრულიად უბრალოდ, მაგრამ ღრმა აზრით ნაგრძნობია ის, რასაც „ვეფხისტყაოსნის“ წაკითხვის დროს იგრძნობს ყოველი მკითხველი.

„ხელში აგიღებ... გაკოცებ,
კიდევ ჩაგკოცნი... ჩაგცქერი.
წიგნი კი არა,—ეროლა ხარ,
ჩამოქაფული ჩანჩქერის.
წიგნი კი არა—ბაღი ხარ,
ოქროს ცვარჩამოწვეთილი:
გაშლილი ბაირაღი ხარ,
ლექსის ფრთა დაუცვეთელი.
წიგნი კი არა—დილა ხარ,
ქართველი ხალხის ნათელი.

. . . .

უთენებელი ბნელეთის
შენ ერთი გვყავდი მთეველი;
სიმდიდრე ბევრი წაგვართვეს
შენ დაგვრჩი წაურთმეველი.

. . . .

გაქანდი ოქროს ფრთიანო,
გასცდები ქვეყნის ნაპირსა,—
შენ დედაჩემის მზითევო,
ფარხმალო მამა-პაპისა.

. . . .

შენ ჩვენი სიჭაბუკე ხარ
გული არ დაგვიძველდება;
სიმღერა დილას ნამღერი,
შვიდასი წელი გრძელდება“.

დიდებულადაა თქმული. ეს ლექსი ერთი გრძელი სიმღერაა, სიმღერა ჭეშმარიტი პოეტისა. მართალია, სიტყვა ზოგჯერ უძლურია იმ მშფოთვარე სულის და პოეტური ღელვის გამოსახატავად, რომელსაც შემოქმედი განიცდის, მაგრამ აქ, ლეონიძის ამ ლექსში, ეს უხერხულობა დაძლეულია. გასაოცარი ნაგებობა აქვს ლეონიძის ლექსებს საერთოდ და განსაკუთრებით ამ ლექსს. არც პოეტური მეტყველებით, არც სიტყვათა შორის დაცული სიმეტრიით, არც არქიტექტონიკით და არც ლექსიკური კომპოზიციით ეს ლექსი არა ჰგავს არც ერთი მწერლის შემოქმედებას. ერთადერთი ვაჟა—ფშაველა (ნაწილობრივ—გურამიშვილიც) შეიძლება ჩაითვალოს ლეონიძის შორეულ წინაპრად. ლეონიძის ლექსებს უფრო ახლო კავშირი აქვთ ხალხურ შემოქმედებასთან, მაგრამ ეს კავშირი ორგანიული არ არის. ერთგვარი რაფინირება ლექსისა, რაც ლეონიძის შემოქმედებას ახასიათებს, აშორებს მას ხალხური შემოქმედებისაგან. მაგრამ განა კი აქვს მნიშვნელობა ამ ფორმალურ სოფისტიკას ჭეშმარიტ შემოქმედებასთან? რა საჭიროა იმის ძიება, თუ კონკრეტულად საიდან იღებს შემოქმედებით შთაგონებას ლეონიძე: კლასიკური მწერლობიდან თუ ხალხური პოეზიიდან?! ჩვენ ვიტყოდით, რომ ერთიდანაც და მეორიდანაც. მაგრამ პოეტის მხატვრული ძალა იმაშია, რომ იგი არც ერთს არა ჰგავს, პოეტი საკუთარი გზით მიდის პოეზიის მაღალ მწვერვალისაკენ.

თუ თანამედროვე ქართულ პოეზიაში რომელიმე პოეტი ჩაითვლება ლირიკული ხმის მქონე პოეტად, გიორგი ლეონიძე, გალაკტიონ ტაბიძის შემდეგ, პირველ ადგილს დაიჭერს საბჭოთა ქართული ლიტერატურის ისტორიაში. მაგრამ ლეონიძე, როგორც ლირიკოსი, გალაკტიონივით მშვიდი და ნაზი როდია. პოეტი ლეონიძე, რაღაც ამტყდარი და თავშეუკავებელი გაქანებაა. ლექსები „ციცარი“, „ყივჩაყური ღამე“ და „საათნოვა“ ადასტურებენ ჩვენს დებულებას. „ყივჩაყურ სიმღერაში“ (განსაკუთრებით „საათნოვაში“) პოეტი დადის ხმის ლირიულ დაწვრილებამდე, მაგრამ, როგორც განვაცხადე, ეს არ არის „ნაზი სიდიადე“, რომელიც ლირიკულ პოეტებს ახასიათებთ. ლეონიძის ლირიკულ ლექსებშიაც კი ბრძოლა და ყიჟინა ისმის:

„ნუ გამინათებ, ნუ გამიჩაღებ
ირმის ნახტომებს ვემარტოები;
შავს ყურელებში სძინავთ ყივჩაყებს,
თავქვეშ უგიათ თექალთოები.
სიზმრად ხედავენ რომის პალატებს;
გარმონს უკრავენ დონის ქალები,
დარიალს ვეღარ შემონათებს
მათი ჭიხვინა ცხენის ნალები“.

ლეონიძის ლირიკული მუზის ეს ვაჟკაცური კილო მოსჩანს სიყვარულის მოტივზე დაწერილ ლექსებშიაც. ლეონიძე ქართულ ლიტერატურაში (უკანასკნელ წლებში) ერთი პირველი პოეტთაგანია, რომელიც სისტემატურად მუშაობს ადამიანის იმ დიდებულს გრძნობაზე, რომელსაც სიყვარული ეწოდება.

სამწუხაროდ, ქართველი პოეტების ერთმა ნაწილმა სრულიად უგულებელჰყო ეს თემა. ჩვენს დიდებულ ეპოქაში, როდესაც ქალი უფლებრივად თანასწორი გახდა მამაკაცისა და როდესაც დრომ სიყვარულს ჩამოაცილა ეკონომიური მომენტი და ეკლესიის ცივი თაღები (სადაც უხმოდ, საკუთარი ნების წინააღმდეგ, ხდებოდა შეერთება ქალ-ვაჟისა), ამ მომენტში სიყვარულის ადამიანური გრძნობა ჩვენი ეპოქის შეგნებისა და მოვალეობის სიმაღლეზე დგება. პოეტი მოვალეა დაეხმაროს საზოგადოებას ამ დიდებული გრძნობის ამაღლებაში. მართალია არა ამ მიმართულებით, მაგრამ ლეონიძემ შესძლო მოვალეობის მოხდა სიყვარულის გრძნობის წინაშე. ლექსებში „ნინოწმინდა“, „თუშის ქალი ალავერდობაში“, „ნინა ჭავჭავაძეს“ და უკანასკნელად „ლიტერატურულ საქართველოში“ დაბეჭდილ ლირიულ ლექსებში არის, ერთის მხრივ, წარსულის რომანტიული გაცოცხლება, მეორეს მხრივ-ახალი ეპოქის განცდა. პირველი ციკლის ლექსებიდან, მხატვრული თვალსაზრისით, ყველაზე ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს ლექსი „ნინა ჭავჭავაძეს“. ეს ლექსი სიმღერაა სილამაზის მარადიულ იდეალზე:

„თუ გადამქრალი შენ ხარ ვარსკვლავი,
ახლაც მინათებს შენი მშვენება...
შენგან შევიტყე რომ სილამაზეს
არ უწერია გადაშენება...
შენ სილამაზეს იქით ბნელდება
დაიხურება ცისკრის კარედი:
შენ მოგაყარეს მიწა ბელტებად
მკერდზე, რომ ვარდსაც არ იკარებდი.
ასი წლის შემდეგ მე შენ გიგონებ
ათას წელს გასძლებს შენი მშვენება;
შენ სილამაზის ნაზო გრიგალო,
შენგან არასდროს მომესვენება“.

მხატვრული სიტყვის ოსტატობისათვის გამუდმებული ბრძოლა ლეონიძის ერთ-ერთ საუკეთესო თვისებას შეადგენს. იგი არ კმაყოფილდება უკვე მიღწეული შედეგებით და ყოველდღიურად იღწვის საკუთარი პოეტური სახის სრულყოფისათვის.

„სიჭაბუკე და ლექსი ერთია
ერთ ჩუქურთმაში გამოყვანილი“,—

ამბობს პოეტი. ამ თქმაში ისევ და ისევ ხაზი აქვს გასმული პასუხისმგებლობის გრძნობას. ერთ ლექსში ლეონიძე („ძველი მგოსნები“) ჰქმნის პოეტის იდეალურ სახეს. იგი სარკასტულად დასცინის ეპოქასა და პოეტურ კულტურას მოწყვეტილ მწერლებს. ასეთ მწერლებს, პოე-

(დასასრული მე-4 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზღვარგარეთ

„საშიში ზღაპარი"

ჩვა წლის წინად გარდაცვლილი ჩეხი მწერალი-ქალის ბოჟენა ნემცოვას ზღაპრების კრებული გადათარგმნილია მრავალ ევროპულ ენაზე და სარგებლობს უდიდესი პოპულარობით. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს მისი „ზღაპარი დევზე". ამ ზღაპრის შინაარსი რთული არ არის: ოდესღაც ცხოვრობდა მშიერი და გაუმაძღარი დევი. იგი სჭამდა ყველაფერს, რაც კი ხვდებოდა გზაზე — სახლებს, მთებს, ტყეს, ქალაქებს, ადამიანებს და მთელ ქვეყნებსაც კი. მაგრამ ერთხელ დევს საშინელი მუცლის გვრემა დაემართა: ქალაქებმა და ქვეყნებმა, რომლებითაც მან მუცელი გაივსო, სასტიკი პროტესტი განაცხადეს ასეთი შეუფერებელი მდგომარეობის გამო და იბრძოლეს მანამდე, სანამ დევი არ გასკდა და არ მოკვდა.

დევის ზღაპრის ავტორი, რომელსაც ამ ზღაპარს სწერდა, ყველაზე ნაკლებად ფიქრობდა, რომ ათი წლის შემდეგ იგი სრულიად უდანაშაულო ჩეხ მასწავლებელთა და მოწაფეთა დევნის მიზეზად გადაიქცეოდა. მშობლების უამრავი წერილის საპასუხოდ, რათა საბავშვო გადაცემის საათში გადაეცათ ზღაპარი დევზე, პრაღის რადიოცენტრმა ამ დღეებში შეასრულა ეს თხოვნა. მაგრამ იმავე წუთს რადიოცენტრის დიქტორი დაატუსაღეს გესტაპოს აგენტებმა — რადიო „სახელმწიფოს საფუძვლების შერყევის" პროპაგანდისათვის გამოიყენაო.

რადგან ეს ზღაპარი დიდიხანია შეტანილია ჩეხო-სლოვაკიის ყველა სკოლისა და საბავშვო ბაღის პროგრამაში, გესტაპომ სერიოზულად მოიწადინა ამ საშიში ლიტერატურის მოსპობა. მასწავლებლები პოლიციაში დაიბარეს და იქ გააფრთხილეს — მოაშორონ ბოჟენა ნემცოვას ზღაპრების წიგნი სასკოლო ბიბლიოთეკებს. აღკრძალეს იგი წიგნის მაღაზიებშიაც.

სპენსერის საფლავის საიდუმლოება

მთელი ინგლისური პრესა იუწყება იმ გათხრების შესახებ, რომელიც ჩატარებული იქნა ვესტმინისტერის სააბატოში ლონდონში. ხანგრძლივი შუამდგომლობის შემდეგ ბეკონის საზოგადოებამ, რომელიც სწავლობს ფრენსის ბეკონის შემოქმედებას, მიიღო ედმუნდ სპენსერის — ინგლისის ერთ-ერთ უდიდესი პოეტის საფლავის გათხრის ნებართვა. სპენსერი 1599 წელს დასაფლავებული იქნა ვესტმინისტერის სააბატოში.

მოტივი, რომლითაც ამ შემთხვევაში ხელმძღვანელობდა ბეკონის საზოგადოება, მდგომარეობდა შემდეგში: არის გამოთქმული მოსაზრება, რომელიც დადასტურებულია ერთ-ერთი ძველი დოკუმენტებით, რომ ინგლისის ყველა ცნობილმა პოეტებმა—სპენსერის თანამედროვეებმა დასწერეს ელეგიები, რომლებიც მიძღვნილი იყო გარდაცვალებულ პოეტისადმი. ეს ხელნაწერები სპენსერს თან ჩაატანეს საფლავში. ბეკონის საზოგადოების ხელმძღვანელები, რომლებიც იცავენ ვერსიას, რომ შექსპირის ნაწარმოებების ავტორი იყო ფრენსის ბეკონი, ფიქრობენ, რომ ხელთნაწერებს შორის, რომლებიც ჩაატანეს საფლავში სპენსერს, აუცილებლად იქნებოდა ელეგია, რომელიც დასწერა შექსპირმაო. და თუ ეს ასეა, მაშინ ეს ხელთნაწერი იქნებოდა ერთად-ერთი ყველაზე უფრო სარწმუნო დოკუმენტი, რომელიც გადასწყვეტდა დავას, თუ ვინ იყო „ჰამლეტის" და „ოტელოს" ავტორი. როგორც ცნობილია დღემდე არ არის აღმოჩენილი არც ერთი ხელთნაწერი — ავტოგრაფი, რომელიც პირადათ დაწერილი იყო შექსპირის მიერ, გარდა მისი ანდერძისა და ზოგიერთი სხვა დოკუმენტისა, რაც მკვლევარებს მისცემდა საშუალებას გამოერკვიათ მისი მართლწერა. ბეკონის ხელწერა კი ფართედ არის ცნობილი.

ამ გვარად გათხრების ინიციატორები ფიქრობდენ რომ თუ კი ნახავდენ სპენსერის საფლავში შექსპირის ელეგიას, მაშინ ყველაფერი გამოირკვეოდა და მსოფლიო ლიტერატურის უდიდესი „საიდუმლოება" გამორკვეული იქნებოდა.

სენსაციური გათხრა მარცხით დასრულდა: სპენსერის საფლავის მაგიერ მოხალისე მესაფლავეებმა შეცდომით გათხარეს სხვა საფლავი. ერთნი ამტკიცებენ, რომ ეს იყო საფლავი პოეტ დრეიტონისა, ხოლო სხვათა აზრით ეს იყო საფლავი მეტიე პრაიორისა, რომელმაც ანდერძათ დასტოვა, რათა იგი დაესაფლავებიათ სპენსერის ფეხებთან.

ბეკონის საზოგადოების მარცხმა კიდევ უფრო გაახელა მისწინააღმდეგ ინგლისის საზოგადოების კონსერვატიული წრეები, უმთავრესად ეკლესიის წარმომადგენლები, რომლებიც უკმაყოფილონი იყვნენ ვესტმინისტერის სააბატოში ჩატარებული გათხრისა. მაშინვე გამოჩნდნენ მანამდე სრულიად უცნობი „მემკვიდრეები" სპენსერისა, დრეიტონისა და პრაიორისა, რომლებიც გამოვიდნენ პროტესტით მათი წინაპრების საფლავის „შეურაცყოფისათვის." ვესტმინისტერის სააბატოს ხელმძღვანელების განკარგულებით ბეკონის საზოგადოებას აეკრძალა შემდეგში გათხრების წარმოება.

ასე დარჩა გამოურკვეველი სპენსერის საფლავის საიდუმლოება. შექსპირის საზოგადოება, რომელიც იზიარებს იმ თვალსაზრისს, რომ შექსპირის ნაწარმოების ავტორი იყო თვითონ შექსპირი და არა ბეკონი, დარწმუნებულია ბეკონიანელთა ყოველგვარი ცდა მარცხით დასრულდება, ვინაიდან არ არსებობს არავითარი საბუთი იმის შესახებ, რომ იმ ელეგიების ავტორებს შორის, რომლებიც ჩადებული იქნა სპენსერის საფლავში იყო უილიამ შექსპირიც.

„შექსპირის დოკუმენტები"

მრავალრიცხოვან ლიტერატურულ შრომებს შორის, რომლებიც მიძღვნილია შექსპირისადმი, ინგლისური კრიტიკა აღნიშნავს კაპიტალურ გამოცემებს „შექსპირის დოკუმენტები", რომელიც გამოსცა სტახფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობამ კალიფორნიაში. ორ დიდ ტომში თავმოყრილია ყველა საყურადღებო ხელთნაწერი და დაბეჭდილი დოკუმენტები შექსპირის ეპოქისა, რომლებიც დიდათ უწყობს ხელს დრამატურგის პიროვნების, ცხოვრების და შემოქმედების შესწავლას.


ალიო მაშაშვილი
ენგური
პოემა
საქ. ალკკს საბავშვო და ახალგაზრდობის გამომცემლობა

მხატ. ს. კეცხოველის მიერ შესრულებული ილუსტრაცია ა. მაშაშვილის პოემა „ენგურისა", რომელსაც სცემს საბლიტგამი

გიორგი ლეონიძე

(დასასრული)

ტის აზრით, არ შეუძლიათ, „რომ დასძრან ლექსი ცხენოსანივით, ავარდეს ბუქი უკან ამტყდარი". ზემოთა ვსთქვით, და აქაც ვიმეორებთ, რომ ლეონიძისათვის სიტყვის ოსტატობა არ არის ავადმყოფური მისწრაფება „ორიგინალობისაკენ", იმ ორიგინალობისაკენ, სადაც აზრისა და სიტყვის ესთეტიური განცდა კვდება გამომგონებლობის ორტახებში. მუდმივი ძიება თვით-დასრულებისათვის ლეონიძის სტიქიაა, მაგრამ ამ ძიებაში იგი არასოდეს არ ჰკარგავს რეალისტურ ალღოსა და ზომიერების გრძნობას. ძველი ქართული ხელოვნების ძეგლებიდან პოეტი სესხულობს სიტყვის ძალასა და სურნელებას, რომ თანამედროვე ადამიანის გრძნობაში გადამდნარს, ახალი ელვარება მიანიჭოს. მისთვის სიტყვა საშუალებაა მხატვრული აზრის გამოთქმისათვის. სხვა ფუნქცია სიტყვას არცა აქვს. ოსტატური შეგუება სიტყვისა და აზრის ლეონიძის პოეზიის დამახასიათებელი თვისებაა. როგორც ყოველი შემოქმედი, ლეონიძეც ლექსის წერის დროს სიტყვისა და აზრის შეხამებისას იტანჯება საკუთარ სამწერლო მაგიდასთან. მაგრამ მისი ლექსების ღირსება იმაშია, რომ ეს ტანჯვა კითხვის დროს არ იგრძნობა.

„ეს საწყალი საათნავა
სიყვარულმა გაათავა".

რა ბუნებრივობა და უშუალობაა ამ თქმაში! ასეთი თქმები ამშვენებენ გ. ლეონიძის პოეზიას. ამავე პრინციპზე არის აშენებული ლეონიძის ერთი უშესანიშნავესი ლექსი—„მეტივეები".

„მოსაღამურდა... ხვადი მგლეში
დასხდნენ შავადა,
ლუკმას ხლეჩავენ დამკლავებითა.
ღვინიან ჯამში ნარგიზივით მთვარე
ჩავარდა
ივსება ხონჩა ვარსკვლავებთა".

ჩვენ გვჯერა, რომ გ. ლეონიძე ახალი სიტყვაა ქართული ლიტერატურის ისტორიაში. ფორმალური და იდეური სიახლე მას ქართული სიტყვის ცნობილი თანამედროვე ოსტატების მოწინავეთა რიგში აყენებს.

★

გიორგი ლეონიძის, როგორც პოეტის და მოქალაქის ღირსება იმაშიცაა, რომ იგი სრულიად ორგანიულად მოვიდა დიდი **სტალინის** ეპოქასთან. მან თან მოიტანა პოეტური სინოყივრე და ახალ თემატიკაზე ორიგინალურად სცადა საკუთარი სიძლიერე. პოეტური გამოცდა მან ღირსეულად ჩააბარა. ჯერ მცირე ლირიკულ ლექსებში, შემდეგ კი ეპიურ ნაწარმოებში, გრანდიოზული მასშტაბით შეეცადა პოეტი დიდი **სტალინის** ასახვას. პოეტის ყოველ ლექსში მოსჩანს უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობა დიდ ადამიანთან მისვლის დროს. ჯერ კიდევ 1933 წელს დაწერილ ლექსში „სტალინს" ლეონიძემ სრულიად ორიგინალური გზით მოახერხა ინტიმური განცდებით გამოეხატა ხალხის სიყვარული დიდი ბელადის პიროვნებისადმი:

„გახსოვს, ის ქოხი ლიახვზე?
ან დიდი ლილოს მინდვრები?
ეს ლექსიც იქაურია,
იქიდან დაგეწინდრები.
იქ კითხულობდი რუსთაველს
გაღიმებულის პირითა,
ვინც შენი ქვეყნის სახელი
გასტყორცნა, გააჯირითა.
დღეს შენ მიარღვევ... შენს მჭრანს
ვერავინ შეეჭიდება,—
მსოფლიოს გულო მფეთქავო,
ქართული ქოხის დიდებავ"

გ. ლეონიძეს აქვს ერთი ლექსი, რომელსაც სახელად ჰქვია „ბელადის კერა". ამ ლექსში პოეტი აღწერს იმ სახლსა და მიდამოს, სადაც ბელადი დაიბადა. მაგრამ ეს ჩვეულებრივი აღწერა როდია! იგი ქრელაა ჭეშმარიტი შემოქმედებით გამოწვეული. გ. ლეონიძე იგონებს **სტალინის** ბავშვობის წლებს, ბელადის დედას, ალიზის ქოხს; ყოველივე ეს მღელვარებით აქვს აღწერილი პოეტს.

ჩვენ ვერ შევჩერდებით ლეონიძის პოემაზე. იგი ცალკე განხილვის საგანს შეადგენს. მაგრამ ერთი მაინც უდაოდ უნდა ითქვას: თუ არ მივიღებთ მხედველობაში ზოგიერთ პოეტურად სუსტ ადგილს და სიუჟეტის დაწყვეტილ ხასიათს, ეს პოემა სრულიად ახალ კარებს აღებს თანამედროვე ქართულ პოეზიაში.

ასე გვესახება ლეონიძის პოეტური შემოქმედება.

უსამართლობა იქნებოდა არ მიგვეთითებინა გ. ლეონიძისათვის ზოგიერთ ნაკლზე, რომელიც თავს იჩენს ხოლმე მის შემოქმედებაში. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ლექსი „ყრილობის დელეგატებს". გადაჭრით უნდა ითქვას, რომ აქ არ არის პოეტური პასუხისმგებლობა თემის მიმართ, არ არის ის პოეტური სითბო, რომელიც საერთოდ ლეონიძეს ახასიათებს. უზრუნველმა დამოკიდებულებამ თემის მიმართ გამოიწვია ლექსის მხატვრული და იდეური დამდაბლება. ჩვენ მიერ აღნიშნულ ლექსს ლეონიძე იწყებს ასე:

„თქვენ მოდიხართ ყრილობაზე
თქვენ მტკიცე ხართ პირობაზე.
თქვენ ბარაქის ბარდანები.
მოგაქვთ ყველა მხრიდან;
ზოგი ქარხნის ბოლს უშვებდით,
ზოგი მადანს თხრიდა
თქვენ გვიძღოდით ყოველდღიურ
თქვენ გვასწავლეთ შეხლა;
აღარ გვინდა საქართველო
ვარდ ბულბულის ქვეყნად".

სრულ უგემოვნებას და პოეტურ კონტროლის გრძნობის უქონლობას რომ თავი დავანებოთ, გაუგებარია, რას ერჩის პოეტი ვარდსა და ბულბულს? რამ გამოიწვია ყოველივე ეს? უპირველეს ყოვლისა არასერიოზულმა დამოკიდებულებამ ამ ფრიად დიდი და საპასუხისმგებლო თემისადმი. ეს თავისთავად არასასურველი მოვლენაა, მაგრამ ფაქტია და შეუძლებელია მისი უარყოფა. ერთგვარი აღმოსავლური უზრუნველობა ეტყობა გ. ლეონიძის ლექსების ზოგიერთ სტრიქონებს. ვკითხულობთ — შესანიშნავი ლექსია, მაგრამ უცბად გამოერევა სრულიად დაუმუშავებელი, მხატვრულად სუსტი სტრიქონი, და შთაბეჭდილება იკარგება.

მაგრამ ყოველივე ეს კერძო ხასიათის შეცდომებია; ბელინსკის თქმისა არ იყოს, მზესაც აქვს ჩრდილები, მაგრამ ადამიანები პირველად ამ ჩრდილებზე არ მიგვითითებენ, რადგან მზის მხურვალება აფერმკრთალებს საკუთარ შავ ლაქებს.

გიორგი ლეონიძე ჭეშმარიტი პოეტია. მეოცე საუკუნის ქართულ ლიტერატურის ისტორიაში იგი დარჩება სტალინური ეპოქის ერთ-ერთ უშესანიშნავეს მომღერლად.

ქართული თეატრის წარსულიდან

ნიკო გვარაძე

რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი

ქართველი მსახიობები ყოველთვის გატაცებული ვიყავით ისეთი თეატრებით, როგორებიც იყვნენ და დღესაც არიან მოსკოვის სამხატვრო თეატრი, მცირე თეატრი და სხვ. მეც, როგორც ახალგაზრდა არტისტი, აუარებელ რეცენზიას და წერილს ვკითხულობდი ამ თეატრების შესახებ. იმ დროს მთელი თეატრების გასტროლები არა ხდებოდა, როგორც ეხლა არის. მცირე თეატრი, მაგალითად, საგასტროლოდ თბილისში ჩამოდიოდა არა მთლიანად, არამედ ნაწილობრივ სუმბათაშვილის (იუჟინის) ან სხვა ვინმეს მეთაურობით. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ აღმეძრა სურვილი, რადაც უნდა დამჯდომოდა, რუსეთში წავსულიყავ, რათა ჩემის თვალით მენახა ის თეატრები, რომლებზედაც ამდენს ვკითხულობდი.

1907 წლის აგვისტოს დავათავე საზაფხულო სეზონი ხონში და ჩაველი ქუთაისს. იმ სეზონში ვასო ბალანჩივაძე და ვალიკო შალიკაშვილი მეთაურობდნენ ქუთაისის დასს. როგორც კი ქუთაისში დამინახეს, მაშინვე წინადადება მომცეს, დასში შევსულიყავ სამუშაოდ. თბილისში აღარ მიშვებდნენ. მე გავუზიარე ჩემი განზრახვა, რომ წარმოდგენის გამართვა და რუსეთში წასვლა მინდა მეთქი. რეპეტიციები დაწყებული ჰქონდათ და ჩემი წარმოდგენისათვის არ ეცალათ. ჩემი აზრი შალვა დადიანსაც გავუზიარე. მე მქონდა მხოლოდ ასი მანეთი. შალვამ მითხრა, ასი მანეთით რუსეთში წასვლა შეუძლებელიაო. არ ვიცოდი, რა მექნა, წარმოდგენის დადგმა არ ხერხდებოდა, მე კიდევ ფული არა მქონდა.

უცბად გავარდა ხმა, რომ ჩვენი დიდი მგოსანი ილია მოჰკლესო. ქუთაისიდან ბევრნი წამოვიდნენ ილიას დასაფლავებაზე თბილისში, მათ შორის შალვა დადიანიც. და აი თბილისიდან დაბრუნებულმა შალვამ მირჩია მომეწყო ილიას საღამო. დავდგით „დედა და შვილი", სცენები „კაკო ყაჩაღიდან" და დივერტისმენტი, რომელშიაც ილიას ლექსები წავიკითხეთ: აუარებელი ხალხი დაესწრო. ქუთაისის თეატრის მოამაგემ ვანო პურადაშვილმა შემოსავალი ბანკში შეიტანა, ნაწილი ხელზე მომცა და გამისტუმრეს მოსკოვისაკენ. თბილისში გამოვლისას თან წავიღე კოტე მესხის წერილი ალ. სუმბათაშვილთან (იუჟინთან), რომ ჩემთვის დახმარება გაეწია.

მოსკოვში მეგობრები დამხვდნენ, თავიანთ ბინაზე წამიყვანეს და დიდი დახმარება გამიწიეს. მათ მითხრეს, რომ ლადო მესხიშვილი აქ არისო. ლადო საზაფხულოდ არხანგელსკში იყო მიწვეული რეჟისორად და მსახიობად. სეზონი გაეთავებინა და დაბრუნებულიყო მოსკოვში. ჩემი დანახვა ძალიან გაეხარდა. ლადო ვერ წარმოიდგენდა, რომ მე მოსკოვში მნახავდა. გამოირკვა, რომ დიდ გაჭირვებაში იყო. მე მაშინვე ექვსი თუმანი გადავეცი, რითაც ძალიან გავახარე. ვუთხარი, კოტე მესხის წერილი მაქვს იუჟინთან მეთქი.

აღარ დავაყოვნე და გავსწიე იუჟინთან. საღამო ხანი იყო, დავრეკე ზარი. კარი გამიღო მოხუცმა კამერდინერმა. ვუთხარ, იუჟინის ნახვა მინდა, საქართველოდან ვარ ჩამოსული მეთქი. მითხრა: დღეს ვერ მიგიღებს წარმოდგენაზე უნდა წავიდეს, ხვალ საღამოს არ თამაშობს და მობრძანდითო. მეორე საღამოს მიმიღო იუჟინმა. გადავეცი კ. მესხის წერილი, წაიკითხა. გამომკითხა ქართული თეატრის ამბები, მკითხა ვასო აბაშიძის, ნატო გაბუნიას, საფაროვ-აბაშიძის შესახებ, როგორ არიანო. მეც, როგორც კი შემეძლო, ყოველ კითხვაზე პასუხი გავეცი. მერე მკითხა რითი შემიძლიან დახმარება გაგიწიოთო. ვთხოვე: მომიხერხეთ როგორმე, რომ თეატრებში თავისუფლად ვიარო, რადგან ბილეთების ალების შესაძლებლობა არა მაქვს მეთქი. ვთხოვე კიდევ, იქნება ნება დამრთონ, რომ დრამატიულ კურსებზე ლექციები მოვისმინო მეთქი. თეატრებში რომ შეგიშვან და ყოველი წარმოდგენა გაჩვენონ, ამას მოვახერხებო, ლექციებზე დასწრება კი არავითარ სარგებლობას არ მოგიტანთო. როგორც კოტე მწერს, თქვენ უკვე რამდენიმე სეზონი სცენაზე თამაშობთ, თქვენთვის, როგორც ახალგაზრდა მსახიობისათვის, საჭიროა არა ლექციები, არამედ განვითარება: რაც ბევრს იკითხავთ მხატვრულ ლიტერატურას, მით უფრო კარგი იქნება თქვენთვის. იცნობთ თუ არა ლესინგის „ჰამბურგის დრამატურგიას", — მკითხა. არა-მეთქი,—მივუგე. შეიძინეთ უსათუოდ ეს წიგნი და გულდასმით წაიკითხეთო. შემდეგ თავის სადარბაზო ბარათებზე ორი წერილი დამიწერა: ერთი ადმინისტრატორთან მცირე თეატრში, მეორე ვახტანგ მჭედლიშვილთან, სამხატვრო თეატრში.

მაშინ ვახტანგ მჭედლიშვილი რეჟისორის თანაშემწედ მუშაობდა სამხატვრო თეატრში. ძალიან დაინტერესებული ვიყავი სამხატვრო თეატრით და დილითვე იქ წაველი, მივედი, ვიკითხე ვ. მჭედლიშვილი. მითხრეს, ეხლა ვერ ნახავთო. მერე უთხარ: იუჟინის წერილი მაქვს და მინდა გადავსცე მეთქი. გაიგეს თუ არა იუჟინის სახელი, მაშინვე დაფაცურდნენ. მოვიდა მჭედლიშვილი, გადავეცი იუჟინის წერილი, წამიყვანა თეატრის კანტორაში, გამაცნო ვიღაც მოხუცი კაცი და გადასცა იუჟინის წერილი. ამ კაცმა მითხრა ყოველ პიესას თითოჯერ გაჩვენებთო. აი ხვალ „ბორის გოდუნოვი" მიდის, დილით მობრძანდით და ბილეთს მოგართმევთო. მართლაც, დილით მიველი და მომცა პარტერში ერთი ადგილი. სამხატვრო თეატრში უადგილო კონტრამარკებს არავის აძლევდნენ. ფეხზე დგომა თეატრში სასტიკად იყო აკრძალული, ბილეთები არასოდეს არა რჩებოდა გაუყიდავი. ერთი თვით ადრე ყველა წარმოდგენის ბილეთები გაყიდული იყო. თეატრის დირექციას ყოველ წარმოდგენაზე რამდენიმე ადგილი ჰქონდა შენახული სტუმრებისათვის, და მეც ამ ადგილს მაძლევდნენ.

მოსკოვში სამ თვეს დავყავი და თუ არ იუჟინი, სამხატვრო თეატრში შესვლას ვერ ვეღირსებოდი. ვნახე ყველა დადგმა. იმ სეზონში მიდიოდა: „ბორის გოდუნოვი" პუშკინისა, „ბიძია ვანო", „ივანოვი" ჩეხოვისა, „ვაი ჭკუისაგან" გრიბოედოვისა, „ცხოვრების დრამა", ჰამსუნისა და „ბრანდტი" იბსენისა. „ბრანდტში" ლადო მესხიშვილს უნდა ეთამაშნა, მაგრამ შემდეგ კაჩალოვს გადასცეს როლი.

პირველმა წარმოდგენამ „ბორის გოდუნოვმა" უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. ჩემს დღემდე ასე დადგმული წარმოდგენა არ მენახა.

რაღა თქმა უნდა, მცირე თეატრშიც მშვენიერი წარმოდგენები იმართებოდა. მით უმეტეს, რომ მაშინ მსახიობების მხრივ მცირე თეატრი უფრო ღირსშესანიშნავი იყო, ვიდრე სამხატვრო თეატრი. საკმაოა დავასახელოთ მცირე თეატრის ისეთი მსახიობები, როგორებიც იყვნენ ერმოლოვა, ლეშკოვსკაია, ფედოტოვა, იაბლოჩკინა, იუჟინი, ლენსკი, რიბაკოვი, სადოვსკი, პრავდინი, პოდარინი. მაგრამ სამხატვრო თეატრის მუშაობა მაშინ ხელოვნებაში ახალი სიტყვა იყო და ამიტომ პროვინციიდან ჩასულ მსახიობებზე იგი უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენდა.

იუჟინი იყო რუსულად აღზრდილი, ამიტომ რუსული უკეთ იცოდა, ვიდრე ქართული. თანაც რაც რუსული მსახიობი გახდა, ერიდებოდა ქართულს, აქცენტი არ გამიფუჭდესო, რასაც მისთვის, როგორც რუსული სცენის მსახიობისათვის, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. იუჟინმა, ნემიროვიჩ-დანჩენკომ და ცნობილმა ანტრეპრენიორმა კორშმა თბილისში გაათავეს პირველი გიმნაზია. ნემიროვიჩ-დანჩენკო ოზურგეთელი იყო, კორში კიდევ მანგლისელი. თბილისის პირველი გიმნაზიის გათავების შემდეგ ალ. სუმბათაშვილი სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტში, სადაც სტუდენტობის დროსვე იღებდა მონაწილეობას კლუბებში დადგმულ წარმოდგენებში. შემდეგ ისე შეუყვარდა სცენა, რომ პროფესიული მსახიობი გახდა და ბრენკოს თეატრში დაიწყო თამაშობა — მოსკოვში. ამ თეატრში იუჟინი არ დარჩენილა. მალე მიიღო დებიუტი მცირე თეატრში. ითამაშა ჩაცკი გრიბოედოვის პიესაში „ვაი ჭკუისაგან". დებიუტი ბრწყინვალე გამარჯვებით დაგვირგვინდა. ამ დებიუტის შემდეგ იუჟინი მცირე თეატრს აღარ მოშორებია. იუჟინი მოსკოვის საყვარელი მსახიობი გახდა. იგი ნიჭიერი დრამატურგი იყო. მის კალამს მრავალი პიესა ეკუთვნის. და ეს პიესები ყველა იდგმებოდა რუსულ თეატრში. ყველა გამოჩენილი მსახიობი დიდი ხალისით თამაშობდა იუჟინის პიესებში, რადგან ამ პიესებში შესანიშნავად დაწერილი როლები იყო. მეტწილად იუჟინი უფრო საანსამბლო პიესებს სწერდა. საკმარისია დავასახელოთ მისი პიესებიდან „ბორკილი", ჯენტლემენი", „შევარდნები და ყორნები", „სტარი ზაკალ", „მუჟ ზნამენიტოსტი", „ძმები არკაზანოვები" და მისი შემოქმედების გვირგვინი „ღალატი".

მახსოვს, 1903 წლის გაზაფხულზე იუჟინის მეთაურობით თბილისში გაიმართა მცირე თეატრის მსახიობთა გასტროლები. გასტროლების დამთავრების შემდეგ იუჟინს ქართულმა დასმა წარმოდგენა გაუმართა. დასდგეს ავ. ცაგარელის პიესა „ხანუმა". შემდეგ გაიმართა დივერტისმენტი, სადაც ნატო გაბუნია-ცაგარელისამ თარზე შეასრულა რამდენიმე ქართული ბაიათი. ნატოს თამაშით და სიმღერით აღტაცებული იუჟინი კულისებში ამოვიდა ნატოსათვის მადლობის გამოსაცხადებლად იმ სიამოვნებისათვის, რომელიც მან განაცდევინა. შემოვიდა თუ არა კულისებში, პირველი ნატო მიეგება. იუჟინმა ხელზე აკოცა და დიდი მადლობა გადაუხადა. ნატომ უთხრა: საშა, მე შენგან არავითარ მადლობას არ მივიღებ, თუ პირობას არ მომცემ, რომ ჩვენ, ქართველ მსახიობებს, ერთ პიესას დაგვიწერო. იუჟინმა უპასუხა: ნატო, გაძლევ სიტყვას, რომ ეხლა ვმუშაობ ერთ პიესაზე, რომელიც საქართველოს ცხოვრებიდან არის. არ გავა დიდი ხანი, რომ ამ პიესას გამოგიგზავნითო. მართლაც იუჟინმა შეასრულა თავისი სიტყვა. რამდენიმე თვის შემდეგ კოტე მესხმა მიიღო იუჟინისაგან „ღალატის" ეგზემპლიარი.

ვიმეორებ, იუჟინი მოსკოვში და მთელ რუსეთში დიდის ავტორიტეტით სარგებლობდა. ვისმეს რომ პრესაში მსახიობები უდიერად და უპატივცემულოდ მოეხსენებინა, ყოველთვის იუჟინი იყო მათი დამცველი. არ გაიმართებოდა იმ დროს ხელოვნების ირგვლივ რაიმე კამათი ან დისპუტი, რომ იუჟინს მასში მონაწილეობა არ მიეღო. ყოველ საკითხს, აღძრულს ხელოვნების შესახებ, უსათუოდ გამოეხმაურებოდა. ლაპარაკობდა მშვენივრად და სწერდა ხომ შესანიშნავად. როგორც მსახიობი, სახელგანთქმული და ნიჭიერი იყო. იმ დროს იუჟინისთანა განათლებული და განვითარებული მსახიობი იშვიათი იყო. მისი ღირსება როგორც არტისტისა, იყო კითხვა. შესანიშნავი წამკითხველი იყო როგორც პროზისა, ისე ლექსისა. იუჟინს, როგორც წამკითხველს, ვერავინ სჯობდა. მთელ რუსეთში განთქმული იყო. ხშირად გამიგია მსახიობთა წრეში: როლი ისე უნდა წაიკითხო, როგორც იუჟინი კითხულობსო.

იუჟინი მე მოსკოვშიაც მინახავს და თბილისშიც. იუჟინს ძალიან უყვარდა თბილისი და ხშირადაც ჩამოდიოდა გასტროლებზე მცირე თეატრის დასთან ერთად. მინახავს იუჟინი „ჰამლეტში", „ოტელოში", „ვენეციელ ვაჭარში", „ფაუსტში", „ვაი ჭკუისაგან"-ში, „ღალატში", „მისს გობსში", „ჭიქა წყალში". არ დამავიწყდება მისი შეილოკი „ვენეციელ ვაჭარში". ეს როლი ითამაშა 1922 წელს დეკემბერში რუსთაველის სახელობის თეატრში გასტროლებზე ჩამოსულ რუსულ დასთან ერთად. ეს იყო მისი უკანასკნელი გასტროლები თბილისში. ეს როლი მართლა შესანიშნავად ჰქონდა დამუშავებული. იგი ნამდვილი ბიბლიური ებრაელის ტიპი იყო, რომელიც თავისი ერის ტანჯვისა და დევნისთვის შურს იძიებს. იუჟინი ჭკუის არტისტი იყო. ეფექტები არ უყვარდა. მთელი როლი ისე ჰქონდა დამუშავებული, რომ ცარიელი ადგილი აღარ რჩებოდა.

იუჟინი საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღიდანვე სათავეში ჩაუდგა მცირე თეატრს და სიკვდილამდის ამ თეატრის სამხატვრო ნაწილის გამგეთ ითვლებოდა. საბჭოთა ხელისუფლება იუჟინს დიდის სიყვარულით ეპყრობოდა, მიანიჭა მას სახალხო არტისტის წოდება და დიდის ზეიმით გადაუხადა 40 წლის სასცენო მოღვაწეობის იუბილე.

მოსკოვში სამ თვეს დავყავი, შემდეგ პეტერბურგში წაველი. ფული არა მქონდა, მაგრამ პეტერბურგში მეგობრები მყავნდნენ და მათი იმედი მქონდა, მით უმეტეს, თვითონ მეპატიჟებოდნენ. თან წავიღე მესხიშვილის მეუღლის ზინაიდას წერილი ნიკ. კრასოვთან. ეს კრასოვი რუსული დრამის აქტიორი იყო და ხშირად ანტრეპრენიორობდა. თბილისში რუსთაველის სახელობის თეატრში 1903-1904 წელს სეზონი ეჭირა და მან პირველად დასდგა რუსულად „ღალატი". ხშირად დასი ქუთაისშიაც დაჰყავდა გასტროლებზე. ჩასვლის პირველ დღესვე მოვნახე კრასოვის თეატრი, სადაც თვითონ იყო ბატონ-პატრონი. ზინაიდას წერილი გადავეცი. ძალიან გაუხარდა და მითხრა, გავიგე, ვლადიმერ მესხიშვილი რუსეთში წამოსულა სამუშაოდ; მე ეს ამბავი არ მესიამოვნა, იგი უკვე ხანშია შესული და აქაურ მუშაობას ველარ აიტანსო. მე ვუთხარი, ეს უფრო ზინაიდა ნიკოლაევნას ბრალია მეთქი. კრასოვმა ნება დამრთო, თავისუფლად მევლო მის თეატრში წარმოდგენებზე, და მართლაც ხშირი სტუმარი ვიყავი კრასოვის თეატრისა. მახსოვს, მისი დადგმებიდან „შავი ყვავები", სადაც ბერები იყვნენ გამათრახებულნი. ამ პიესას მაშინ დიდი წარმატება ჰქონდა მთელს რუსეთში.

იმ დროს პეტერბურგში ბევრი ქართველი სტუდენტი სწავლობდა, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოდან. სხვათა შორის, პეტერბურგში შემხვდა ერთი ჩემი ძველი მეგობარი, რომელმაც გამაცნო თბილისისთვის ცნობილი რუსი მსახიობი ვოვა ბლიუმენტალ-ტამარინი. ბლიუმენტალ-ტამარინს საზოგადოდ ქართველობა ძალიან უყვარდა და დიდი მეგობრობა ჰქონდა ქართველ სტუდენტებთან. მან გამიკეთა საქმე, რომ სუვორინის სამხ. სალიტერატურო თეატრში ყოველი ახალი დადგმა ეჩვენებინათ ჩემთვის. იმის შემწეობით გენერალურ რეპეტიციებზედაც კი მიშვებდნენ. გამაცნო მთავარი რეჟისორი კარპოვი. მაშინ კარპოვი ერთ-ერთ გავლენიან რეჟისორად ითვლებოდა მთელს რუსეთში. პეტერბურგში რომ ჩაველი, ქართველმა სტუდენტებმა მაშინვე დამიწყეს ლაპარაკი, ერთი ქართული წარმოდგენა დავდგათო. დაასახელეს „ღალატი". მე არ ვეთანხმებოდი, ვეუბნებოდი, რომ ეს პიესა დასადგმელად და სათამაშოდ ძნელია და შევრცხვებით მეთქი. სხვა არა იყოს რა, ზეინაბს ვერავინ ითამაშებს მეთქი. ისინი მაინც თავისას არ იშლიდნენ. შევიკრიბენით. გადავწყვიტეთ „ღალატის" დადგმა. დავიწყეთ რეპეტიციები სჭადრაკო კლუბში. ვამზადეთ ორ კვირას. ვიქირავეთ თეატრი „კომედია" მახავოის ქუჩაზე. (ახლა იმ შენობაში მოზარდ მაყურებელთა თეატრია). თეატრი კი ვიქირავეთ, მაგრამ იქ არც კოსტიუმები იყო „ღალატისათვის" და არც დეკორაციები. გავგზავნეთ დელეგაცია უჩა დადიანთან. მაშინ უჩა დადიანი სასახლეში ცხოვრობდა და ბევრს წარჩინებულ პირს იცნობდა. მათ შორის საიმპერატორო თეატრების დირექტორს ტელიაკოვსკის. ალექსანდრეს დრამატიულ თეატრში ორი წლის წინათ „ღალატი" იდგმებოდა. უჩა დადიანი წასულიყო ტელიაკოვსკისთან და ეთხოვნა, რომ დაეთმოთ ჩვენთვის ტანსაცმელი და დეკორაციები. ტელიაკოვსკის გამოეწვია თეატრის მთავარი ადმინისტრატორი და ებრძანებინა, მოეცა როგორც ტანსაცმელი, ისე დეკორაციები. მაგრამ თეატრის მთავარ ადმინისტრატორს დაერწმუნებინა ტელიაკოვსკი, რომ „ღალატის" ტანსაცმელი და დეკორაციები ისე შორს ალაგია საწყობში, რომ მის მიღებას დიდი ვაი-ვაგლახი დასჭირდებაო. ბოლოს ეთქვა, რომ თეატრალურ თერძს ლეიფერტს „ღალატის" კოსტუმების მთელი კომპლექტი აქვსო. მართლაც ლეიფერტს მასკარადისათვის შეეკერა მშვენიერი კოსტუმები. რომ მივედით, გამოგვიღო საუცხოო ტანისამოსი. ამ ლეიფორტმა სცენის მოწყობაც იკისრა. ერთი სიტყვით მშვენიერი დეკორაციები და ტანსაცმლები ვიშოვეთ.

მოახლოვდა წარმოდგენის დღეც. ჩვენ ყველანი ძალიან ვღელავდით. ჩვენზე მეტად დარბაზში მყოფი ქართველობა ღელავდა. ბევრი ქართველი სტუდენტი რუსის ოჯახში ცხოვრობდა, და ქართველ სტუდენტობას აუარებელი რუსობა ჰყავდა ნაცნობი. მით უმეტეს, რომ რუსული საზოგადოებისათვის „ღალატი" ცნობილი პიესა იყო. დარბაზში მყოფ ქართველობას ეშინოდა, პიესა არ გააფუჭონ და თავი არ მოგვჭრანო. წარმოდგენამ მოლოდინს გადააჭარბა. მშვენიერად თამაშობდნენ ყველანი.

სრულიად მოულოდნელად ამ ჩვენს წარმოდგენას იმ ხანებში პეტერბურგში ჩამოსული ჩვენი დიდი პოეტი აკაკი წერეთელიც დაესწრო. მესამე მოქმედების შემდეგ აკაკი სცენაზე ამოვიდა და გარს შემოხვეულ გახარებულ მოთამაშეებს გვითხრა: ძალიან მიხარიან, რომ პიესა კარგად მოგიმზადებიათ და რუსებთან არ შეგვარცხვინეთო.

ახალი წიგნები

„იქ სადაც იშვა ხალხთა გენია"

გიორგი ქუჩიშვილმა დასწერა პოემა „იქ სადაც იშვა ხალხთა გენია". პოემაში აწერილია ამხანაგ **სტალინის** ყრმობის წლები.

პოეტს გამოყენებული აქვს აგრეთვე ხალხური ლეგენდა გორის წარმოშობის შესახებ.

წიგნაკი სანდრო ჟორჟოლიანზე

სახელმწიფო კინო-გამომცემლობამ მოსკოვში რუსულ ენაზე გამოსცა ა. ჩაჩიკოვის წიგნაკი ორდენოსანი კინო-მსახიობის სანდრო ჟორჟოლიანის შესახებ. წიგნაკში განხილულია ს. ჟორჟოლიანის შემოქმედებითი გზა კინო-ხელოვნებაში, მის მიერ შესრულებული როლები კინო-სურათებში.

„იავნანამ რა ქმნა"

საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტგამომცემლობამ გამოსცა იაკობ გოგებაშვილის „იავნანამ რა ქმნა". ეს მოთხრობა ერთ-ერთი საუკეთესო და პოპულარულ ნაწარმოებთაგანია რევოლუციამდელ საბავშვო ლიტერატურაში.

ცნობილია, რომ იაკობ გოგებაშვილი გარდა იმისა, რომ იგი იყო ავტორი „დედა-ენისა", „ბუნების კარისა", „ანბნისა" და სხვა პედაგოგიურ-პუბლიცისტური წერილებისა, განსაკუთრებული ნაყოფიერებით მუშაობდა აგრეთვე ქართული საბავშვო მხატვრული ლიტერატურის შექმნის საქმეში. იაკობ გოგებაშვილი ავტორია მოთხრობების: „თავდადებულნი ქართველნი", „მეფე ერეკლე და ინგილო ქალი", „საარაკო თავგადასავალი ტახტის მემკვიდრისა", „სხივი წარსულისა" და სხვ. ეს მოთხრობები შედევრებია ჩვენი საბავშვო ლიტერატურისა. მათში ჩაქსოვილია სიყვარული მშობლიური ხალხისადმი, მისი გმირობისა და ვაჟკაცობისადმი, ამ სიყვარულით გამთბარი მისი შესანიშნავი „იავნანამ რა ქმნა" მოთხრობის მიზანია აჩვენოს დედის იავნანის სიტკბო და შავბნელი წარსულის სიდუხჭირე.

გამომცემლობას დიდი შრომა ჩაუტარებია, რომ ეს საინტერესო მოთხრობა კარგად გამოეცა. წიგნი დასურათებულია მდიდრულად მხატვარ შ. მაყაშვილის მიერ. წიგნს დართული აქვს მოკლე წერილი იაკობ გოგებაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, დაბეჭდილია კარგ ქაღალდზე და ჩასმულია მაგარ ყდაში.

წიგნი ღირს 3 მან. და 50 კაპ.

პასუხისმგებელი რედაქტორი შალვა რადიანი.

რედაქციის მისამართი: ტფილისი, მაჩაბლის ქუჩა № 13 (მწერალთა სახახლე) ტელეფონი 8—47—10.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული 278